# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 13 მაისი 2006 №107 (2729) ფასი 50 თეთრი



## ამერი დღეს ზესტაფონი
## ათასად თასი დაფასდა





## დღე, როცა შეგიძლია ისევ იოცნებო

**ირაკლი გამყრელიძე**
*ლონდონიდან*

ამ ორიოდ კვირის წინ ლონდონში, ერთ პატარა სტადიონზე, თამაში იყო. შაბათ-კვირა თამაშების დღეებია ინგლისში და, ერთი რომ, უქმეებს დანატრული ხალხი დილიდანვე უბერავს საუბნო მინდვრებზე და მეორეც, მთელი ინგლისის ოთხივე პროფესიული ლიგა და უთვალავი სამოყვარულოც სწორედ უქმეებზე თამაშობენ, შაბათ დილიდან რომ გახურდება, კვირა საღამოს გათავდება. თუ გინდა, რომ ფეხბურთით იცოცხლო, სწორედაც რომ გამოწერილი დრო და ადგილია ეს ლონდონი.

ჰოდა, ერთ პატარა სტადიონზე, დასავლეთ ლონდონში, პატარა გუნდების თამაში იყო: „ბრენტფორდი" — „ჰარტლპული". ეს სახელები მხოლოდ სტატისტიკის წიგნებში არსებობს. ლიგა დაბალია, ხელფასები მცირე, ბიჭები დარბიან, ცდილობენ, მართლა თამაშობენ, იმტვრევიან, კოტრიალი სირცხვილად უჩანთ, ბრძოლა უყვართ და ტრიბუნები კი სავსეა.

რა ითვლება ინგლისში უდიდეს სირცხვილად და, გუნდს რომ გამოიცვლი. იმის ფანი ვიყავიო და ახლა ამის ვარო, რომ იტყვი. თქმაც არ უნდა, თუ ფეხბურთის გარშემო ხარ, ყველამ იცის, ვისი ხარ.

რით არსებობენ პატარა გუნდები? ერთგული გულშემატკივრებით. მთავარი მათთვის ბილეთის ფულია.

დასავლეთ ლონდონში, სადაც უამრავი დიდი და პატარა გუნდია, „ჩელსის" გულშემატკივრობა იოლია. ოღონდ, „ბრენტფორდის" ფანები არ გადარბიან სხვა ბანაკში, რათა საკუთარი განწყობა ტიტულებით და გამარჯვებებით დაიკმაყოფილონ. ეს ყველაზე მაგარი რამაა საკლუბო საქმეში — ერთგულება და ნამდვილი ბრძოლა.

ახლა უყურეთ: „ბრენტფორდი" — „ჰარტლპული" 1:1 დამთავრდა. იჭიდავეს და ითამაშეს, ამ საქმეში კი საუცხოო ის იყო, რომ იმ პატარა „ჰარტლპულს" გასვლით თამაშზე 300 ერთგული გულშემატკივარი ახლდა.

ამას სულ სხვა რამისთვის ვყვები. უბრალოდ, აშკარაა, რომ ფეხბურთის ძალა მის სიცოცხლეშია, მკვდარი ფეხბურთი საინტერესო აღარ არის. აბა, გამოტყდით, ჩემპიონთა ლიგის თამაშის ცქერისას ტელევიზორთან ხომ ჩაგძინებიათ? აუცილებლად. ჩაის დასალევად ხომ გასულხართ, ამხანაგთან ხომ გილაპარაკიათ ტელეფონზე? რატომ და იმიტომ, რომ თქვენთვის ეს ფეხბურთი მკვდარია. მასთან არანაირი შეხება არ გაქვთ. ის უცხოა და იმდენად გაინტერესებთ, რომ ფეხბურთი გიყვართ ზოგადად. დაგეძინებოდათ საქართველოს ნაკრების თამაშზე? ანდა ქართული კლუბის თამაშზე, რომლის ერთგული გულშემატკივარიც ხართ?

გაგრძელება მეორე გვერდზე

2007 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

## საქართველო — შვედეთი

თბილისი. სპორტის სასახლე. 13 მაისი. 16.00

## ქართულ ფრენბურთში ბიჭიანობაა
### მივხედოთ და გაგვეზრდება



დღეს სპორტის სასახლეში ხელახლა დაიბადება ქართული ვაჟთა ფრენბურთი. საქართველოს ნაკრები ევროელიტისკენ სავალ გრძელ და ძნელ გზას დაადგება. სულ ახლახან პირველად შეკრებილი ეროვნული გუნდი შვედეთს დღეს თბილისში ხვდება, ერთი კვირის თავზე კი სტოკჰოლმში და ამ ორი მატჩის ჯამში უნდა დაამტკიცოს, რომ 2007 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ჯგუფში მოხვედრის ღირსია.

საქართველოს ნაკრები არ არის ის, რაც იყო ათი, ხუთი თუ ოთხი წლის წინ. მეტიც, მაშინ ნაკრები საერთოდ არ არსებობდა, დღეს კი შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ქართველებს ფრენბურთელთა გუნდი გვყავს. უმშვენიერესი და უყოჩაღესი ვიქტორია რავას მეუღლის, „ნიცას" ლიდერ ამირან ჯიოშვილის კაპიტნობით ქართველები ახმახი ვარსკვლავის მარკუს ნილსონის შვედეთის დაქუცმაცებას შეეცდებიან. ამ საქმეში ჯიოშვილი თავისთავად არ იქნება მარტო. მას თურქეთის, გერმანიისა და ყაზახეთის ჩემპიონატებში გამოწრთობილი ბიჭებიც შეაშველებენ ხელს და ეგებ ელიტა არც ისე შორი გამოდგეს, როგორც რამდენიმე წლის წინ ჩანდა.

## შევჩენკო ჩელსის აღარ მალავს
### ბავშვმაც იცის და ბერლუსკონიმაც, რომ მას ეს უნდა

მიდის თუ არა ანდრეი შევჩენკო „მილანიდან" „ჩელსიში"? უკრაინელმა ფორვარდმა გუშინ პრესკონფერენცია გამართა და აი, რა განაცხადა: „აზრი არ აქვს იმის დამალვას, რაც ხდება. მე შევხვდი სილვიო ბერლუსკონის. ვისაუბრეთ ბევრ საკითხზე, მათ შორის ჩემ წასვლა-დარჩენაზე. საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია. ხალხმა უნდა შეიგნოს, რომ ეს მხოლოდ საუბრებია. „მილანთან" პრობლემები არ მაქვს და ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა თანაგუნდელებთან და მწვრთნელებთან. წასვლა-დარჩენის საკითხი კი მხოლოდ ჩემი ოჯახური მიზეზების გამო ამოტივტივდა. ასევე მინდა ვუთხრა ფანებს, რომ მეტი ხელფასის გამო „მილანიდან" არ წავალ. ეს აბსურდია. უბრალოდ, „მილანში" გატარებული შვიდი წლის შემდეგ რაღაც-რაღაცებს გადავხედე და ამიტომ შევხვდი ბერლუსკონის. ვიმეორებ, საბოლოო გადაწყვეტილება არ მიმიღია და ვნახოთ, რა მოხდება უახლოეს დღეებში".

გუშინწინ კი, როცა სილვიო ბერლუსკონის „მილანის" პატარა ფანმა ჰკითხა, შევჩენკო მიდის თუ რჩება, ექსპრემიერმა უპასუხა: „იცი, რომ შევჩენკოს წასვლა უნდა? მას პრემიერლიგაში გადასვლა სურს".



# დღე, როცა შეგიძლია ისევ იოცნებო

## ეპიტაფი სულისთვის

ჰო, მართლა, რომელი ქართული გუნდის გულშემატკივარი ხართ? ალბათ, ზოგადად, თბილისის „დინამოსი“, ისე კიდე, რომელიც მოიგებს, იმის. იმიტომ, რომ ქართველების მოგება გაგვიხარდება, არა?! აბა, მითხარით იმ ფეხბურთელების გვარები, რომლებიც იმ გუნდში თამაშობენ, ვისაც გულშემატკივრობთ. არის საქართველოში ისეთი კლუბები, რომლებსაც ერთგული ქომაგები ჰყავთ. „სიონი“ ახლახან ჩემპიონი შეიქნა, რაც ალალია ბოლნისზე და ამ გუნდზე, მაგრამ ამხელა ქალაქ თბილისში, სადაც რამდენიმე კლუბი მაინც მოითვლება, ვინ ვის გულშემატკივრობს? ოც-ოცი კაცი, რომლებიც ტრიბუნებზე გამოჩნდებიან ხოლმე, ალბათ, ჩაითვლებიან იმ ნამდვილ გულშემატკივრებად, ვისაც თავისი კლუბი უყვარს და მართლა უხარია და მართლა სწყინს მისი ამბავი. დანარჩენი?

ასე ამბობენ ხოლმე, ჩვენ ისე ვიყავით განებივრებულები დიდი და კარგი ფეხბურთით, რომ ამას ველარ ვუყურებთო. და ბრენტფორდელებისას როგორ ფიქრობთ, არ იციან, რა არის დიდი და კარგი ფეხბურთი?! ანდა ის 300 ჰარტლპულელი, მატარებელში რომ ჩაჯდა შაბათ დილით, როგორ ფიქრობთ, ვერ ხვდება რომ მის კლუბს „მანჩესტერი“ და „ნიუკასლი“ ჯობია?! თუ შენი კლუბი არ გიყვარს, შენთვის ფეხბურთი ცოცხალი არ არის. ეს დანამდვილებითაა ცნობილი. საერთოდ, კლუბები უყვარდებათ ბავშვობიდან და სამუდამოდ, ზოგჯერ მამის მიბაძვით, ზოგჯერ სულ უბრალო მომენტის გამო, ზოგჯერაც ისეთი რამის გამო, რაშიც ფეხბურთი სულაც მეორეხარისხოვანია.

დღეს კი რა დღეა?

დღეს დიდი დღეა თბილისის „დინამოს“ ისტორიაში.

დღეს 13 მაისია.

25 წელი გავიდა, რაც „დინამომ“ თასების თასი აიღო.

ჰოდა, მე მშურს ბრენტფორდელი და ჰარტლპულელი გულშემატკივრების იმის მიუხედავად, რომ მათ გუნდებს ევროპაში არავინ იცნობს და მათზე სულ ორი სტრიქონით წელიწადში ორჯერ თუ წერენ ინგლისური გაზეთები. სამაგიეროდ, არის სიცოცხლე და სინამდვილე.

13 მაისი საოცარი დღეა. დიადი და განუმეორებელი, მაგრამ თარიღი სევდას იწვევს, იმიტომ, რომ ამ დღეს გაგრძელება არ მოჰყოლია. საფეხბურთო გაგრძელება კი არა, უბრალოდ, ადამიანური გაგრძელება. ხალხი მოსწყდა ფეხბურთს. თბილისის „დინამოს“ მოსწყდა 80 ათასი სტადიონზე მჯდომი ადამიანი და კიდევ, ალბათ, ტელევიზორთან მლევარე მილიონი.

თბილისის „დინამო“ ის აღარ არის, რაც იყო. ქვეყანაც ის აღარ არის, რაც იყო, მაგრამ მაინც შემოგარტყამს ერთი ოხერი კითხვა: ჩვენ ფეხბურთი გვიყვარდა, ჩვენი კლუბი გვიყვარდა თუ თავს ვიტყუებდით იმიტომ, რომ ამ კლუბის გამარჯვებები ჩვენი ხასიათის გამოსაკეთებლად გვჭირდებოდა?

სიხარულის ღამე ცოცხალია, მაგრამ სულ სხვანაირად, ისე, თითქოს ეს ყველაფერი მოგონილი იყო.

მიდიხარ დასავლეთ ლონდონში, ჩაუხვევ ლამაზ ქუჩაზე, კიდევ ჩაუხვევ ორსართულიან საცხოვრებელ სახლებს შორის, ერთ აგურის კედელს მიადგები. კედლები იმგვარია, რომ ეზოს გალავანს ჰგავს. მყუდრო კარებები გამოუჭრიათ, შიგნითაც ალბათ კაი ტკბილი ბალი იქნება, იფიქრებ, იმიტომ, რომ ქუჩაც მყუდროა, სახლებიც და ხეივანიც. შეხვალ იმ კარში და იქ სახლია. ამ სახლს „კრივენ კოტეჯი“ ჰქვია. ოღონდ ეს სახლი სტადიონია, რომელზეც პატარა კლუბი „ფულემი“ თამაშობს.

სტადიონი შენი სახლია, თბილისის „დინამოს“ კი სახლი არ აქვს. თბილისის „დინამოს“ რომ ვამბობ, ყველას ერთად ვგულისხმობ, გუნდსაც და გულშემატკივრებსაც. სახლში ხან ცუდი ამბები მოხდება, ხან — კარგი. ხან იტირებ, ხან იხალისებ, ხან სიმღერას შემოსძახებ. იმიტომ, რომ ეს შენი სახლია. ძნელია, სადმე ნახო ისეთი პანაშვიდი, როგორიც „ჰაიბერის“ გადაუხადა ხალხმა. დგას ეს ჩვენი საბრალო სტადიონი, რომლის მინდორზეც, ვინ იცის, რა არ მომხდარა, რა გრანდებს არ უტრიალიათ, რა ოსტატობა და გული არ ჩაქცეულა. დგას, როგორც მიტოვებული ქოხმახი, ამხელა ქოხმახი. რემონტს არ ვგულისხმობ. ოცდახუთი წლის თავზე ერთი რემონტი კი გაკეთდება და კეთდება კიდეც. სკამებსაც მოვიტანთო, საუცხოო სკამები იქნებაო. ბრწყინვალეა და სასიხარულო, რომ მიხვალ და დაჯდები. და მიდიხარ?

მძიმე ცხოვრებაა ჩვენთან, ღარიბები ვართ, მაგრამ, მგონი, რიო დე ჟანეიროს ფაველში უფრო ღარიბები არიან. იქ ტელევიზორებიც იშვიათია, ხალხი მუყაოს სახლებში ცხოვრობს და რადიოს მფლობელი დიდი კაცია.

როდის დაბრუნდება სტადიონზე მისი სული? სად წავიდა და სად გადაიკარგა? ძალით ვერ მოიყვან, სული პიარკამპანიებს არ ემორჩილება. სადაც სინამდვილეა, სადაც მართლა ხარ, სადაც გელიან და სადაც ყველაფრის გაზიარება შეგიძლია, იქ მიდის.

არის ორიოდე ადგილი ჩვენს ფეხბურთში, სადაც სულმა მისვლა გადაწყვიტა. იქ, ისევე როგორც ბრენტფორდში, ალბათ, იციან, რომ არ ჰყავთ გუნდი, რომლის მოთამაშეც სუპერმანქანით დადის. მაგრამ, მგონი, ნამდვილად, ძალიან უყვართ თავიანთი გუნდი.

დღეს 13 მაისია, გუნდის სიყვარულის დღე.

ერთადერთი დღე, როცა შეგიძლია წარსული გამოიხმო და იოცნებო, რომ ოდესმე ისევ იქნება რაღაც ნამდვილი, უბრალო და გემრიელი.

**ირაკლი გამყრელიძე**
**ლონდონიდან**



# მთავარი განწყობაა

## კლუბებმა და ფედერაციამ ჩაწყობებზე ილაპარაკეს



გუშინ 14 საათზე საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გუნდების ხელმძღვანელების, ფეხბურთის ფედერაციისა და პროფესიული ფეხბურთის ლიგის მესვეურთა შეხვედრა გაიმართა. ღონისძიების უმთავრესი მიზანი გარიგებულ თამაშებზე სჯაბაასი იყო. შეხვედრის დამთავრების შემდეგ „თბილისის“ ერთ-ერთ დამფუძნებელ მამუკა გუგეშაშვილს და „ამერის“ პრეზიდენტ ზურაბ ფოცხვერიას ვესაუბრეთ...

**მამუკა გუგეშაშვილი**

— შეხვედრაზე პირველი საკითხი „თბილისმა“ წამოჭრა და ჩვენი ინიციატივა ყველას მოეწონა — ასაკობრივ ლიგებში გამარჯვებული გუნდები უცხოეთში გაემგზავრებიან. ფეხბურთის ფედერაციამ საკუთარ თავზე აიღო ამ იდეის განხორციელება.

**— ჩაწყობილ თამაშებზეც გისაუბრიათ...**

— ჩაწყობილ თამაშებზე თითქმის ყველას ჰქონდა ინფორმაცია, ოღონდ კონკრეტული ფაქტების გარეშე. შევთანხმდით, რომ შეიქმნება კომისია, რომელიც ამ საკითხზე იმუშავებს. გაირკვა, რომ ერთ-ერთი კლუბის პრეზიდენტს უტყუარი ფაქტი აქვს, რომ მისმა ფეხბურთელმა ქრთამი აიღო. ახლა ამ პრეზიდენტის გადასაწყვეტია, რას მოიმოქმედებს. კმაყოფილი ვარ, რომ ფედერაცია, პროფლიგა და კლუბების პრეზიდენტები სერიოზულად მოეკიდნენ ამ თემას.

**ზურაბ ფოცხვერია**

— გულახდილი საუბრები იყო, შეხვედრა მართლაც პოზიტიური გამოდგა. ზოგიერთი კლუბის ხელმძღვანელს პირველად შევხვდი, რაც ჩემთვის სასიამოვნო იყო.

**— როგორ ფიქრობთ, რამდენად ნაყოფიერი გამოდგა ეს შეხვედრა?**

— ამას დრო გამოაჩენს. ამ შეხვედრას სერიოზული ხალხი ესწრებოდა და იმედია, უკეთესობა იქნება.

**— ვერ ვამტკიცებთ, მაგრამ უეჭველად ვიცით, რომ მატჩი გარიგებული იყო — თუ ასეთი ფორმულით იმოქმედებს ის კომისია, რომელიც გარიგებული თამაშების გამოსავლენად შეიქმნება, ეს მისაღები იქნება?**

— თუ ვინმე ისე დაისჯება, რომ ბრალი ვერ დაუმტკიცდება, შეუსაბამობამდე მივალთ. კონკრეტული საუბარი არ ყოფილა იმაზე, თუ ვინ შევა კომისიაში, მაგრამ თუ დღევანდელ შეხვედრაზე არსებული განწყობა შენარჩუნდება, ვფიქრობ, ეს კომისია ჩაწყობილ თამაშებზე ფაქტების მოპოვებას შეძლებს.

**დავით თავართქილაძე**

# ალმასკომმა მინისტრი დაიმატა

**გუშინ,** სანამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის და პროფლიგის ხელმძღვანელები კლუბების მესვეურებს შეხვდებოდნენ, ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის სხდომა გაიმართა.

დღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მე-11 ყრილობაა და გუშინდელ ალმასკომზე ფედერაციის წესდებაში შესატანი ცვლილებები მიიღეს, რომლებიც ყრილობამ უნდა დაამტკიცოს. ალმასკომმა მოიწონა ფედერაციის 2006 წლის ბიუჯეტი და ესეც დღევანდელმა ყრილობამ უნდა დაამტკიცოს.

ალმასკომში ვაკანსია იყო და გუშინდელ სხდომაზე გადაწყდა, რომ ახალი წევრი კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი გიორგი გაბაშვილი იქნება.

ნიკა ჯორჯაძე

# საქართველოს ევროპული დროები

**საქართველოს** ნაკრები მაისის ბოლოს ორ ამხანაგურ მატჩს რომ გამართავს, ადრეც გაუწყეთ. გადაწყვეტილია, რომ კლაუს ტოპმიოლერის გუნდი 27 მაისს გერმანულ ქალაქ ალტენკირხენში ახალ ზელანდიას შეხვდება, 31-ში კი ავსტრიულ დორნბირნში მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე პარაგვაის გაეჯიბრება. აქამდე ამ მატჩების დაწყების დრო უცნობი იყო, ახლა კი გაირკვა, რომ ახალზელანდიელებთან მატჩი შუაევროპული დროით 17 საათზე დაიწყება, ხოლო პარაგვაელებთან — 19.30 საათზე.

ბაჩა შალამბერიძე

# ვინ სად ვის განსჯის

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო კომიტეტის გადაწყვეტილებით, საპლეიოფო მატჩებს ეს მსაჯები მოემსახურებიან:

**თბილისი — მეშაქრე**

ლ. ფანიაშვილი; გ. ჩიგოგიძე, კ. გაბრიაძე; დ. ხარიტონაშვილი

**ცხინვალი — გაგრა**

ლ. სილაგავა; ზ. მენთეშაშვილი, მ. ურუშაძე; ვ. ელისაბედაშვილი.

შეგახსენებთ, რომ „თბილისი“ — „მეშაქრე“ 14 მაისს ბოლნისში, თამაზ სტეფანიას სახელობის სტადიონზე გაიმართება, ხოლო „ცხინვალ“ — „გაგრას“ თბილისის „ამერის“ მოედანი უმასპინძლებს.

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო
და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან
მაგთიზე და ჯეოსელზე
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)
25 თეთრად

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის წამობრივი აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

სიახლე
ჯეოსელისგან
ჯეო-მიქსი!

GEO *123#
ჯეო MIX მიქსი



აკრიფეთ
*123*9# YES
და
მომენტალურად
დაადგინეთ
მიმდინარე
საფეხბურთო
მატჩების ანგარიშები

SCORE LIVE

wap.geocell.com.ge

## ამერი

| გზა ფინალამდე |
|---|
| მეთექვსმეტედფინალი |
| ამერი 1:2 მეშაქრე |
| მეშაქრე 1:4 ამერი |
| მერვედფინალი |
| ამერი 4:1 გაგრა |
| გაგრა 0:0 ამერი |
| მეოთხედფინალი |
| ამერი 0:0 კოლხეთი |
| კოლხეთი 0:1 ამერი |
| ნახევარფინალი |
| სიონი 0:0 ამერი |
| ამერი 1:0 სიონი |
| სულ: 8 თამაში, 4 მოგება, 3 ფრე, 1 წაგება; ბურთები: 11:4 |



## დავით ყიფიანის თასი
### ფინალი
თბილისი. 13 მაისი
მიხეილ მესხი. 20 საათი

## ზესტაფონი

| გზა ფინალამდე |
|---|
| მეთექვსმეტედფინალი |
| ზესტაფონი 3:0 ზუგდიდი |
| ზუგდიდი 0:4 ზესტაფონი |
| მერვედფინალი |
| სპარტაკი 0:4 ზესტაფონი |
| ზესტაფონი 3:1 სპარტაკი |
| მეოთხედფინალი |
| ზესტაფონი 1:0 დინამო |
| დინამო 0:0 ზესტაფონი |
| ნახევარფინალი |
| ვიტ ჯორჯია 1:2 ზესტაფონი |
| ზესტაფონი 3:1 ვიტ ჯორჯია |
| სულ: 8 თამაში, 7 მოგება, 1 ფრე, 0 წაგება; ბურთები: 20:3 |

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; ზ. ჯვარიძე, ლ. მიქელაძე; ა. ნონიკაშვილი; დამკვირვებელი: ა. შალამბერიძე

# ამერი და ზესტაფონი შეთანხმდნენ: ვითამაშოთ ლამაზად

გუშინ „მიხეილ მესხის“ საპრესკონფერენციო დარბაზში დღევანდელი ფინალისტების მწვრთნელები — გიორგი ჩიხრაძე და კობა ჟორჟიკაშვილი დასხდნენ და ჩვენს კითხვებს უპასუხეს. ორივემ ერთნაირად დაიწყო, ხვალ 13 მაისია, ქართული ფეხბურთის გამარჯვების დღე, სტადიონზე ბევრი ხალხი მოვა და ჩვენმა გუნდებმა მათ კარგი სანახაობა უნდა შესთავაზონო. პროგნოზებისგან, რა თქმა უნდა, ორივე მწვრთნელმა თავი შეიკავა, თუმცა ესეც ხომ პროგნოზია — ჩიხრაძემ და ჟორჟიკაშვილმა მატჩის დაწყებამდე წარმატების შანსები აბსოლუტურად თანაბრად შეაფასეს...

მოკლედ, დღევანდელი ფინალის წინ „ამერისა“ და „ზესტაფონის“ მწვრთნელებმა პრესკონფერენცია გამართეს და აი, რა თქვეს...

*გიორგი ჩიხრაძე:* ჩვენთვის მთავარია, როგორ ვემზადებით თასის ფინალისთვის, თუმცა, რა თქმა უნდა, „ზესტაფონზეც“ ვფიქრობთ. ასეთი მატჩების წინ მეტოქის თამაშის შესწავლა ძალიან მნიშვნელოვანია — მეტოქეზე მცირე-მცირე ინფორმაციებს ვაგროვებთ. „ზესტაფონმა“ თასის შარშანდელ ფინალში კი ითამაშა, მაგრამ არც ამერელები არიან გამოუცდელნი ამ საქმეში. ბევრ ფეხბურთელს ფინალში ადრეც უთამაშია და მოუგია კიდეც. ფინალი ერთი მატჩია და შეიძლება, ყველაფერი მოხდეს, „ამერი“ მშვიდად ემზადება.

...მეტოქის გამორჩეული ფეხბურთელი იქნებ ზურაბ იონანიძეა, მაგრამ „ზესტაფონს“ სხვა არანაკლებ სახიფათო მოთამაშეებიც ჰყავს. იონანიძე ჩვენგან განსაკუთრებულ ყურადღებას ვერ იგრძნობს, მის პერსონალურ მეურვეობას არ ვაპირებთ. „ამერში“ მშვენიერი განწყობაა და, რა თქმა უნდა, წარმატების გვჯერა. თუმცა, თუ წავაგეთ, არც ამით დაიქცევა ქვეყანა. პირიქით, საკლუბო სტრუქტურა დღითიდღე იხვეწება, ხელმძღვანელობას გრძელვადიანი პროექტები აქვს, ჩვენ უკვე უმაღლეს ლიგაში ვართ და აგერ თასის ფინალიც სათამაშო გვაქვს. შესაძლოა, ეს უკვე წარმატებაა, მაგრამ პირადად ჩემთვის თასის ფინალსაც და თასის მეთექვსმეტედფინალსაც ერთი ფასი აქვს, მთავარია, გუნდმა ფინალში მოიგოს! ფინალში წარმატება კი ჩვენს სამომავლო მოტივაციას კიდევ უფრო გაზრდის, ხოლო პრემიალურები „ამერში“ თასის ყოველი ეტაპის დაძლევის შემდეგაა დაწესებული და ახლაც იგივე იქნება.

...არ ვფიქრობ, რომ სავსე ტრიბუნის წინ თამაში უპირატესობას „ზესტაფონს“ მისცემს. „მიხეილ მესხი“ ნეიტრალური სტადიონია. ისე კი, სასურველია, რომ ეროვნული ჩემპიონატის მატჩებსაც ბევრი ქომაგი დაესწროს და ყველა სტადიონი გაივსოს.

...ამ მატჩისთვის მზადებისას ყველაფერს ვითვალისწინებთ, მათ შორის მოედნის ფართობსაც. „მიხეილ მესხზე“ თამაშისას უპირატესობა სწრაფ ფეხბურთელებს ექნებათ და ვეცდებით, ეს ჩვენ სასარგებლოდ გამოვიყენოთ. მეტოქის ყოველ გადაადგილებას კი დროული რეაგირებით უნდა შევხვდეთ.



კობა ჟორჟიკაშვილი და გიორგი ჩიხრაძე

*კობა ჟორჟიკაშვილი:* „ზესტაფონი“ თასის ფინალისთვის ჩვეულებრივ ემზადება, განსაკუთრებული არაფერი ხდება. ეგაა, მატჩის დაწყების დროის გამო ვარჯიშის გრაფიკი და კვების რეჟიმი შევცვალეთ. თასის ფინალში შარშანაც ვითამაშეთ, იმ გუნდის ბირთვი ახლაც ჩვენთანაა და ბიჭებს გარკვეული გამოცდილებაც დაუგროვდათ. მაშინ „ზესტფონში“ არ ვმუშაობდი, თამაში კი ვნახე. ახლა მთავარია, ის ძველი შეცდომები აღარ გავიმეოროთ და „ამერთან“ მატჩისას გამოვასწოროთ, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, ძნელი იქნება.

ვფიქრობ, „ამერი“ ერთ-ერთი საუკეთესო ქართული გუნდია. აქვს თავისი სკოლა, აშენებს ბაზას, მართვის სისტემა დახვეწილია და საერთოდ, კლუბი სწორი პოლიტიკით ვითარდება, რაც თავისთავად მისასალმებელია. წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისით კი, ვფიქრობ, ხმამაღლა არ ღირს „ამერის“ პლუს-მინუსებზე ლაპარაკი. მეტოქე ყველა რგოლში თანაბრადაა დაკომპლექტებული. 13 მაისს ის გუნდი მოიგებს, რომელიც ამ კონკრეტული შეხვედრისთვის უკეთ მომზადებული იქნება.

...თასის მოგებისთვის, როგორც ნებისმიერ სხვა გუნდში, რა თქმა უნდა, ჩვენთანაც დაწესებულია პრემიები, თუმცა რამდენი, ვერ გეტყვით, ეს კლუბის საშინაო საქმეა. არა მგონია, „ზესტაფონის“ მომავალი თასის მოგება-წაგებაზე იყოს დამოკიდებული. ბოლო დროს ზესტაფონში კარგი ამბებია და ძალიან სასიხარულოა, რომ ამ ფინალის წინ ქალაქში დიდი აჟიოტაჟია. ბევრი ქომაგი თბილისში წამოსვლასაც აპირებს.

...„მიხეილ მესხზე“ „ზესტაფონს“ რამდენჯერმე უთამაშია, თასის მეოთხედფინალში „დინამოსაც“ ამ სტადიონზე ვესტუმრეთ. ასე რომ, ეს სარბიელი უცხო არ არის, არც მოედნის პარამეტრებია ზესტაფონის მოედნისგან ძალიან განსხვავებული. ვფიქრობ, ჩვენს თამაშზე მოედნის სიგრძე-სიგანე არ იმოქმედებს.

*აი, ასეთი განწყობით ხვდებიან გიორგი ჩიხრაძე და კობა ჟორჟიკაშვილი დღევანდელ ფინალს.*

*დანარჩენი კი მოედანზე გამოჩნდება, გუნდები უძლიერესი შემადგენლობებით არიან და, როგორც თავადვე თქვეს, კარგი თამაში უნდა გამოვიდეს...*

**ქობა ინასარიძე**

## საქართველოს თასის ყველა ფინალი




**1990**
გურია 1:0დ.დ. (0:0) ცხუმი

**1991–92**
იბერია 3:1 ცხუმი

**1992–93**
დინამო 4:2 ბათუმი

**1993–94**
დინამო 1:0 მეტალურგი

**1994–95**
დინამო 1:0 ბათუმი

**1995–96**
დინამო 1:0დ.დ. (0:0) ბათუმი

**1996–97**
დინამო 1:0 ბათუმი

**1997–98**
დინამო 1:2დ.დ. (1:1) ბათუმი

**1998–99**
ტორპედო 0:0დ.დ. (0:0, პენ. 4:2) სამგურალი

**1999–00**
ლოკომოტივი 0:0დ.დ. (0:0, პენ. 4:2) ტორპედო

**2000–01**
ლოკომოტივი 0:0დ.დ. (0:0, პენ. 3:4) ტორპედო

**2001–02**
ლოკომოტივი 2:0 ტორპედო

**2002–03**
დინამო 3:1 სიონი

**2003–04**
დინამო 2:1 ტორპედო

**2004–05**
ლოკომოტივი 2:0 ზესტაფონი

# გული და გონება ერთი დღით ადრე



ბადრი ქეთილაძის ფოტო

**თბილისის** „ამერი“ შეკრებაზე გუშინწინ გადავიდა და „მცხეთა პალასში“ დაბინავდა. საქართველოს ძველი დედაქალაქი თავისთავად ბადებს სიმშვიდის შეგრძნებას და გუშინ, წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს, ამას არამხოლოდ სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. გუშინდელი დღე ამერელებმა შიომღვიმის მონასტრის მონახულებით დაიწყეს, სანთლები აანთეს და ლოცვას დაესწრნენ. უკანა გზაზე თითოეულ ფეხბურთელს სახეზე აღბეჭდვოდა სტუმრობით გამოწვეული ემოცია და ამაღლებული განწყობა.

„მცხეთა პალასში“ დასვენების შემდეგ „ამერი“ სავარჯიშოდ საკუთარ სტადიონს საღამოს შვიდ საათზე მიადგა. გიორგი ჩიხრაძეს გუნდი დიდად არ დაუტვირთავს და თითქმის მთელი ვარჯიში ფეხბურთელებმა ბურთთან კონტაქტში გაატარეს. განწყობა საბრძოლო, ამაღლებული, არც ერთი ზედმეტი სიტყვა და არავითარი ლაზღანდარობა — თითოეულისთვის გასაგებია, რომ საქართველოს თასის ფინალში თამაში სერიოზული შანსია, რომელსაც გამოყენება უნდა. ფეხბურთელებს იმის შესახებაც ჰქონდათ ინფორმაცია, რომ დღევანდელი მატჩის ბილეთების დიდი ნაწილი უკვე გაიყიდა. თუკი ერთის მხრივ ზესტაფონელები აპირებენ ვაკეში სოლიდური დესანტის გადმოსხმას, უქმად არც გლდანელები მჯდარან და დღეს ქომაგობა „ამერსაც“ არ მოაკლდება.

ბევრი ამერელისთვის ეს კარიერის პირველი ფინალია, თუმცა ისეთებიც არიან, საქართველოს თასი რომ აღუმართავთ. სულიკო დავითაშვილს დავით ყიფიანის თასის ორ ფინალში უთამაშია და ორივეჯერ გოლი გაუტანია. „ამერის“ თავდასხმის ლიდერი დღეს გასამებას შეეცდება და, როგორც ვარჯიშიდან ჩანდა, ცუდ ფორმას ან ბრძოლის ჟინის ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივის.

**გიორგი ნოზაძე**





ბადრი ქეთილაძის ფოტოები

# იონანიძე ტრაგედიას ვერ ხედავს



ზურაბ დოლენჯაშვილის ფოტო

**„ზესტაფონს“** გამოცდილი აქვს თასის ფინალში წაგების სიმწარე — შარშან თბილისის „ლოკომოტივთან“ ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ 0:2 დათმო. ახლაც ფეროელთა შანსებს „ამერისაზე“ მეტად აფასებენ, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ ეს ფინალია, ანუ ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

გუშინ „ზესტაფონმა“ „მიხეილ მესხზე“ 20 საათზე ივარჯიშა. კობა ჟორჟიკაშვილის განკარგულებაში 18 ფეხბურთელი იყო. ყველა ჯანზეა და მართალია, დიდად დატვირთული ვარჯიში არ ყოფილა, მაგრამ ზესტაფონელებს მობილიზება-შეთამაშება მაინც ეტყობოდათ.

ჟორჟიკაშვილმა ჯერ მსუბუქი მოთელვა დაავალა ბიჭებს, მერე ტრადიციული კვადრატები ათამაშა, შორეულ დარტყმებშიც წაამზადა და შედარებით დიდი ხანი ფლანგურ ჩაწოდებებს დაუთმო. მარჯვნიდან ზურაბ ძამსაშვილი, ალექსი ბენაშვილი და გიორგი თურმანიძე, მარცხნიდან კი სერგეი ნუდნი, კახა ჩხეტიანი და ბექა ნოზაძე აბზრიალებდნენ ბურთებს. მერე იყო კუთხურიდან ჩაკიდებები: მარჯვნიდან ჩხეტიანი, მარცხნიდან კი თურმანიძე ასვამდნენ თავზე ბურთებს თანაგუნდელებს.

ნავარჯიშევს ზურაბ იონანიძემ გვითხრა, ვიცი, რა დონის მეტოქესთან გვიწევს თამაში, ფავორიტის დასახელება მიჭირს, მაგრამ მოგების იქით გზა არ გვაქვს და თუ პირიქით მოხდა, ამისგანაც არ შევქმნით ტრაგედიას, მომავალი სეზონი ხომ წინააო.

**ილია ნანობაშვილი**



ზურაბ დოლენჯაშვილის ფოტო





# ამერი და ნიკოლშოუ

## სიყვარული მუდამ ექსპრომტია, სიმღერა სიხარულის ესკორტია

*გია ნიკოლაძესთან სახლში ერთი კედელი მთლიანად ფანქრით მიწერილი ტელეფონის ნომრებითაა სავსე. ამ ტელეფონის ნომრებს, სახელებსა და მეტსახელებს შორის კი თვალში გხვდება ფანქრითვე მიწერილი: რა გქვია ბიჭო შენ? გენიოსა! რომელ კლასში ხარ? ჩავრჩი მეორეში. რატომ?*

*— ბავშვობაში მე და ბებიაჩემს გვქონდა ხოლმე ასეთი დიალოგი და მერე რატომღაც კედელზეც მივაწერე — მიყვება „ნიკოლშოუს" უფროსი ძმა.*

*გია ნიკოლაძესთან საინტერვიუოდ სტუმრობის მიზეზი მუსიკალურ-სპორტულია. ვისაც გლდანში „ამერის" სტადიონზე მასპინძელთა გოლი უნახავს, ამ მიზეზს უმალ გამოიცნობს — „ამერის" ყოველი გოლისას სტადიონზე „ნიკოლშოუს" ყველაზე ცნობილი სიმღერის ერთი კუპლეტს აგუგუნებენ:*

*„ეს სულ ასე უბერავს*
*აი ასე უბერავს*
*ნახე როგორ უბერავს*
*აი ასე უბერავს."*

— ერთ მშვენიერ დღეს სახლში ვზივარ და ვიღაც მირეკავს. მეუბნება, გიორგი დარჯანია ვარ „ამერიდან" და თქვენთან შეხვედრა მინდაო. აზრზე არ ვარ, ვინ არის და „ამერი" რა არის, ეგეც არ ვიცი. ხმა დავისერიოზულე და ვკითხე, რა საკითხთან დაკავშირებით-მეთქი. თქვენს სიმღერაზე მინდა დაგელაპარაკოთო. სახლში მოვიწვიე.

მაშინ გავიგე, რომ ჩემს სიმღერას გოლების გატანის დროს უკრავდნენ და მაგრა გამიხარდა.

მერე ხომ იცი, როგორც ხდება, ერთმანეთი კარგად გავიცანით და ახლა მე და ამერელები მაგარი ძმაკაცები ვართ და ამ გუნდის მაგარი ფანი ვარ. უმაღლეს ლიგაში რომ გადმოვედით, მაგრა შევუბერეთ და ახლა თასს რომ ავიღებთ, უფრო მაგრა შევუბერავთ.

**— მთლიანობაში ქართულ ფეხბურთზე რას იტყვი?**

— ბავშვობაში, როგორც ყველა, მაგარი გულშემატკივარი ვიყავი. მაგრამ მერე ხომ იცი, ყველაფერი რომ წააგეს, გული ამიცრუვდა და საერთოდ აღარ მაინტერესებდა. მაგრამ რა მოხდა: ერთხელ დამპატიჟეს „ამერის" თამაშზე, მეორედ დამპატიჟეს და იმის მერე იქით ვურეკავ, თუ შეძლებთ, გამომიარეთ, წამოვალ-თქო. როგორი რაღაცაა, თამაში ხან მოგეწონება, ხან არა, მაგრამ მაგარი ჩათრევა იცის. ეგეთ ემოციას, სტადიონზე რომ იღებ, ბევრგან ვერ მიიღებ. მაგარი მუღამი აქვს.

**— შენი ძმები როგორი გულშემატკივრები არიან?**

— სანდრო არის ძალიან მაგარი ფანი. აი, მე რომ აცრუებული მქონდა გული ფეხბურთზე, სანდრო მაშინაც მაგარი ფანი იყო.

**— როგორც ვიცი, „ამერის" ჰიმნზე მუშაობ...**

— ჯერ კიდევ შარშან დავიწყე მუშაობა და გარწმუნებ, ძალიან მაგარი გამოდის. გადავრიე სტუდიები, იმდენჯერ გადავაკეთე ტექსტიც და მუსიკაც. გიორგი გვარჯალაძესთან და დათო უგრეხელიძესთან ერთად ვმუშაობ ჩაწერაზე.

**— კიდევ რას აკეთებ?**

— პოემა დავწერე, „ქართული ზღაპარი" ჰქვია.

**— პოემის დაწერის იდეა როგორ გაგიჩნდა?**

— ვერ აგიხსნი. თუ დამიჯერებ, სიტყვები სადღაც ზემოდან მოდიოდა და მე ვწერდი.

**— ფინალზე, რა თქმა უნდა, მიდიხარ...**

— მე და ჩემი ძმები ჩვენი „ამერის" მაისურებით, ზურგზე NIKOLSHOW რომ აწერია.

**— და გამარჯვების იმედი გაქვს...**

— ამას იმედი აღარ ჰქვია, მაგარი დარწმუნებული ვარ, რომ მოვიგებთ. მაგაზეც მოგიყვები. პირველად რომ წავედი „ამერის" თამაშზე, 0:1 წავაგეთ. მეორე თამაშზე ბიჭებს ვუთხარი, ეტყობა, ცუდი ფეხი მაქვს და აღარ წამოვალ-მეთქი. ამაზე „ამერის" დირექტორი გია კაკუშაძე გამეხუმრა, ის თამაში რომ წავაგეთ, გუნდის ვალი გაქვს და ამ თამაშზე უნდა გამოასწოროო. წავედი და ის თამაში 0:0 დამთავრდა. მოკლედ, პროგრესი აშკარა იყო და მესამე თამაშზე რომ წავედი, უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ მოვიგებდით. ეგრეც მოხდა და მესამე ჯერზე მოვისმინე „ეს სულ ასე უბერავს". იმის მერე ერთხელაც არ მომხდარა, რომ სტადიონზე წავსულიყავი და ვერ მოგვეგოს. რომელ თამაშზეც არ ვიყავი, ვერ მოვიგეთ.

**— გუნდის თილისმა ყოფილხარ...**

— არა, თილისმა, იმედი მაქვს, ჩემი სამღერები იქნება, მე, უბრალოდ, ფანი ვარ.

*ამ ინტერვიუს ჩაწერისას გიას უმცროსმა შვილმა ქეთამ, იქვე, კომპიუტერთან რომ ერთობოდა და თან გვისმენდა, უცებ გამოაცხადა, „ამერის" ნაკლეიკა კლასში მაქვს გაკრულიო.*

*ქეთა ნიკოლაძე:* „კლასში სულ რაღაცეები გვაქვს კედლებზე გაკრული. მე „ამერის" ნაკლეიკა მივიტანე და მასწავლებელმა თვითონ გააკრა. მაშინ მესამე კლასში გადავდიოდი, ახლა მეოთხეში გადავდივარ.

...ჩვენთან ბავშვები რამეს რომ გავაკრავთ, ხევენ ხოლმე, ეს ნაკლეიკა კი ჯერ არ ჩამოუხევიათ..."

*იმის თაობაზე, თუ როგორ გაჩნდა იდეა, ამერული კლუბის „შებერილით" აღნიშვნისა, კლუბის პრესსამსახურის უფროსი გიორგი დარჯანია მოგვითხრობს:* „ჩვენმა პრეზიდენტმა ზურაბ ფოცხვერიამ დაახლოებით ორი წლის წინ დამავალა გოლის აღსანიშნად მუსიკის შერჩევა. ორ თუ სამ თვეში უამრავი ვარიანტი შევთავაზე, მაგრამ არც ერთი გამოდგა ისეთი, ბოლომდე რომ დაგვაკმაყოფილებდა...

2004-05 წლების სეზონის პირველი მატჩი ჩვენს სტადიონზე „ცხინვალთან" გვქონდა. მატჩის წინ სტადიონზე სიმღერებს რომ ვუკრავდით, იმ სიმღერებს შორის „ნიკოლშოუს" „შებერილიც" იყო. ჩვენმა პრეზიდენტმა მაშინ მითხრა, ეს სწორედ ის სიმღერაა, რაც გვჭირდებაო. „შებერილიდან" სასურველი კუპლეტი დავამონტაჟეთ და მას მერე „ამერი" ყველა საშინაო გოლს ამ სიმღერის თანხლებით აღნიშნავს."

**კახა ზალამბერიძე**

# ამერმა ზესტაფონს გაასწრო



## ჯერ მხოლოდ ბილეთებით

— **თასის** ფინალის ბილეთები ისეთი სისწრაფით იყიდება, კაცი იფიქრებს, საქართველოს ნაკრების მნიშვნელოვანი შეხვედრააო — თქვა გუშინ პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეს-ატაშე პაატა ბურჯალიანმა.

...მერე „მიხეილ მესხის" სტადიონის სალაროებს მივადექით და მოლარეებისგანაც იგივე მოვისმინეთ. თანაც ერთ საინტერესო სააფიშო კადრსაც წავაწყდით. ერთი სალარო „ამერის" ქომაგებს ეპატიჟება, მეორე — „ზესტაფონისას". რომელ სალაროში მეტი ბილეთი გაიყიდაო, ვიკითხეთ. ჩემსაში, თბილისელები უფრო აქტიურობენო, მივიღეთ პასუხად ამერული სალაროდან, თუმცა „ზესტაფონელმა" იქვე მიუგო, ხვალ მე გაჯობებო...

პროფლიგამ თასის ფინალისთვის 20 ათასი ბილეთის შეკვეთა მისცა და რამდენი გაიყიდება, დღეს საღამოს გამოჩნდება. თუმცა, სავარაუდოდ, თასის ფინალისთვის ყველა ბილეთი უნდა გაიყიდოს. „ზესტაფონისა" და „ამერის" ფანებს პროფლიგამ ადგილები სხვადასხვა სექტორში გამოუყო, „ნეიტრალურებსაც" სხვა ადგილების დაკავება მოუწევთ.

# ლოთარ კურბიუვაიტი: ჰოპეს გოლმა დაგვღუპა

ოცდახუთი წლის განმავლობაში თითქმის არ დარჩა 1981 წლის 13 მაისის ფინალის მონაწილე ქართველი თუ გერმანელი, კიდევ ერთხელ რომ არ გაეხსენებინა დიუსელდორფის „რეინშტადიონზე“ გამართული მატჩის პერიპეტიები. ამჯერად „კარლ ცაისის“ კაპიტანთან, ლოთარ კურბიუვაიტთან მოვახერხეთ გასაუბრება. საუბარი კი იმით დაიწყო რომ... ჩვენმა რესპონდენტმა გულითადი მოკითხვა დაგვაბარა რალფ მინგესთან, რომელიც მისი მეგობარი აღმოჩნდა...



## მაშინდელი დინამო ყველაზე სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობდა ევროპაში

**— ხვალ 13 მაისია...**

— ვიცი, რომ ეს დღე განსაკუთრებული და დაუვიწყარია ქართული ფეხბურთის ქომაგებისთვის, მაგრამ 13 მაისი არც ჩვენში იწვევს მხოლოდ დამარცხებულის გულისტკივილს. თასების მფლობელთა თასის ფინალი „კარლ ცაისის“ ასწლოვან ისტორიაში უდიდესი მიღწევაა და ბედნიერი ვარ, რომ იმ გუნდის კაპიტანი ვიყავი.

**— იქნებ გაიხსენოთ გზა, რომელიც ფინალამდე გაიარეთ, ყველაზე მეტად რომელ მეტოქესთან გაგიჭირდათ?**

— უდიდესი ბრძოლების გადატანა მოგვიხდა — „ვალენსია“, „რომა“, „ბენფიკა“ ყოველთვის ევროპული ფეხბურთის ელიტის წევრები იყვნენ და მათთან გამარჯვება წარმოუდგენლად ძნელი იყო. შეიძლება ითქვას, რომ ამ კლუბთაგან თითოეული იმსახურებდა ფინალში თამაშს.

**— ფინალის წინ „დინამოს“ შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას ალბათ არ უჩიოდით...**

— რა თქმა უნდა, მეტოქეზე სრულყოფილი ინფორმაცია გვქონდა. „დინამოში“ დავით ყიფიანი, ალექსანდრე ჩივაძე, ვიტალი დარასელია თამაშობდნენ და ამით ყველაფერია ნათქვამი. ბევრი სპეციალისტი თვლიდა, რომ მაშინდელი „დინამო“ ყველაზე სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობდა ევროპაში.

**— ყველაზე მეტად რომელ ქართველ ფეხბურთელს უფრთხოდით?**

— თითოეულს, თუმცა ყიფიანი მაინც განსაკუთრებული იყო. მისი თამაში საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ჯერ კიდევ მანამდე მქონდა ნანახი, სანამ „დინამო“ ჩვენი მეტოქე გახდებოდა. უბრალოდ, შეუძლებელი იყო, მატჩის წინ მასზე განსაკუთრებულად არ გაგვემახვილებინა ყურადღება. დიუსელდორფში კი თამაშის ბედი მაინც დარასელიამ გადაწყვიტა. უდიდესი ფეხბურთელი იყო, რომლის გოლმაც ყველა იმედი გადაგვიწურა.

**— პირველი ტაიმის შემდეგ მწვრთნელს ტაქტიკა ხომ არ შეუცვლია? მეორე ნახევარში „კარლ ცაისი“ ისე შთამბეჭდავად ველარ გამოიყურებოდა...**

— არც მწვრთნელს და არც მოთამაშეებს რაიმეს შეცვლა აზრადაც არ მოგვსვლია. არ დაგიმალავთ და, ჩვენი თამაშით არამხოლოდ კმაყოფილნი, გაოცებულნიც კი ვიყავით. თბილისის „დინამო“ მთელ ევროპაში ქუხდა, „კარლ ცაისი“ კი მას არათუ ღირსეულ წინააღმდეგობას უწევდა, მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში სჯობნიდა კიდეც.

**— მაშ, რატომღა დამარცხდით?**

— ჰოპეს გოლმა კიდევ უფრო შეგვმატა საკუთარი ძალების რწმენა და ვფიქრობ, ამანვე დაგვღუპა. რომ არა ჩვენი ტაქტიკური შეცდომა, შეიძლებოდა, ყველაფერი სხვაგვარად დასრულებულიყო. „კარლ ცაისს“ გამარჯვების შანსი ჰქონდა, უფრო მეტის ამბიცია რომ არ გაგვჩენოდა და მეორე გოლის გატანაზე რომ არ დაგვეწყო ფიქრი. ისეთივე, გახსნილი ფეხბურთის თამაში გავაგრძელეთ, რამაც დინამოელებს ხელ-ფეხი გაუხსნა და მატჩის ბოლო 30 წუთი ქართველი ფეხბურთელების უდიდესი ოსტატობის დემონსტრირებად იქცა.

**— კაპიტანს მოედანზე განსაკუთრებული როლი და პასუხისმგებლობა აკისრია, განსაკუთრებით მაშინ, როცა გუნდს ფსიქოლოგიურად უჭირს...**

— მეც, როგორ ყველა ჩემი თანაგუნდელი, შეტევაზე უფრო ვფიქრობდი, ვიდრე ანგარიშის შენარჩუნებაზე. არც ერთს არ მიგვიქცევია ყურადღება, რომ მეტოქის ნახევარზე ხშირად უფრო მეტნი ვიყავით, ვიდრე საკუთარზე. სამწუხაროდ, სრულფასოვანი ანალიზის საშუალება მხოლოდ მატჩის შემდგომღა გვეძლევა. თავს არ ვიმართლებ, მაგრამ მაშინ მე, როგორც კაპიტანს, მეტის გაკეთება ნამდვილად არ შემეძლო.

**— ბუნებრივია, მატჩის შემდეგ „კარლ ცაისის“ გასახდელში მძიმე განწყობა იქნებოდა...**

— მეორე ტაიმმა რეალობაში დაგვაბრუნა. ის იმედი და ოცნება, პირველი ტაიმის შემდეგ რომ გაჩნდა, დაიმსხვრა და, ბუნებრივია, იმედგაცრუებულნი ვიყავით. თუმცა ემოციები განელდა და მერე უკვე იმითაც ბედნიერები ვიყავით, რომ დიუსელდორფამდე მივედით.

**— შემდგომ წლებში ვეტერანების დონეზე „კარლ ცაისი“ რამდენჯერმე შეხვდა „დინამოს“. თქვენ რამდენ შეხვედრაში მიიღეთ მონაწილეობა?**

— ის, რასაც ახლა გეტყვით, მართლაც გულიდან ამოსული სიტყვებია და მინდა, ყველა ქართველმა გაიგოს: ბედნიერი ვარ, რომ თბილისში ვიყავი. საქართველო ულამაზესი ქვეყანა, ქართველები კი საოცარი ხალხია. ცხოვრების ბოლომდე მემახსოვრება თქვენი კეთილგანწყობა და სტუმართმოყვარეობა, არსად ასე არ მიგრძვნია თავი. კიდევ ერთხელ ვუთვლი ყველა ქართველს უდიდეს მადლობას და მიმაჩნია, რომ თბილისში სტუმრობა ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მომენტი იყო 1981 წლის 13 მაისის ფინალის შემდეგ. ვიმედოვნებ, რომ ნაწილობრივ მაინც ავანაზღაურეთ ეს პატივისცემა სამი წლის წინ, როცა თბილისის „დინამო“ იენას სტუმრობდა.

**— ამჟამად რას საქმიანობთ?**

— „ნიურნბერგის“ ბავშვთა გუნდების უფროსი მწვრთნელი ვარ და ახალგაზრდა ტალანტების აღმოჩენა მავალია. ამ მიზნით საქართველოშიც ვაპირებ ვიზიტს, თქვენი ფეხბურთის შესახებ საკმაოდ ვარ ინფორმირებული და იმედი მაქვს, ეს ვიზიტი უნაყოფოდ არ ჩაივლის.

**— და ბოლოს: შეგიძლიათ, ჩვენი გაზეთის საშუალებით მიმართოთ ნებისმიერ ადამიანს საქართველოში...**

— ქართული ფეხბურთის თითოეულ ქომაგს მივმართავ: ვიცი, რომ 1981 წლის 13 მაისი ქართული ფეხბურთისთვისაც მწვერვალი იყო. იმედი მაქვს, იგი კვლავაც მიაღწევს ძველ სიმაღლეებს, მე კი არაერთხელ მომეცემა თბილისში სტუმრობის, თქვენი სტუმართმოყვარეობით ტკბობის და ქართული ღვინით ჩვენი მეგობრობის სადღეგრძელოს შესმის საშუალება.

**ნინო სილაგაძე**





# ადამიანი-საათი

## რა იყო მთავარი 13 მაისს ლატანცის სასტვენამდე

# მოლოდინი

ისედაც მაკარონს ვგავარ და ლურჯი ბუტილკა შარვალი, ალბათ, საერთოდ ვერმიშელს მამსგავსებს. ეს სკოლის ფორმაა, ოღონდ საბჭოთა წესებს ბოლომდე არ ვეჩაგვრინები და ფორმას, შარვალსა და პიჯაკს, კი არ ვყიდულობ, ატელიეში ვაკერინებ. მოკლედ, როცა „რკინის ღობის" გადაღმა „შლაქსებია" მოდაში, ჩემი სკოლის ფორმაც „შლაქსია", ხოლო, როცა იქ შარვლები ბუტილკდება, აქ ჩემსასაც იგივე მოსდის. ჩემი საყვარელი ატელიე სანაპიროზეა, ქორწინების სახლთან, სტომატოლოგიური პოლიკლინიკის გვერდით. მე თექვსმეტი წლის ვარ, დღეს 13 მაისის დილაა...

### ოთარ გაბელია

გაბელიას იმედი მაქვს. მიყვარს მაყურებელზე გათვლილი მისი ლამაზი ნახტომები. ეს ქართული არტისტიზმია. რაღაცნაირი გრძელი ნახტომი აქვს, შორეულ ბურთსაც წვდება. მე თუ მკითხავთ, შორს უკეთ ხტება, ვიდრე მაღლა, მაგრამ ეგ არაფერი, კუთხურიდან ჩაწოდებულ მაღალ ბურთებს მცველები მიიღებენ. კი, გაბელიას იმედი ნამდვილად მაქვს...

კარი გამოვკეტე, კიბეებზე ჩავდივარ. ფოსტის ყუთში „კოსმოსის" ღერები მაქვს დამალული. წინა დღით მე და ძმაკაცმა მთელი კოლოფი ვიყიდეთ და გავიყავით. შემდეგ, სადარბაზოდან გავდივარ, სახლს ვშორდები და ვუკიდებ. ასე მივდივარ, ერთ ხელში „კოსმოსით", მეორეში კი, უფრო სწორად, იღლიაში ამოჩრილი ორად მოკეცილი თხელი ტყავის ჩანთით. მივდივარ და გული მწყდება, რომ ერთი სისულელე ჩავიდინეთ: დიუსელდორფში გაფრენის წინ „დინამო", მგონი, „შახტიორს" მასპინძლობდა. მეგობარს ხატვა ეხერხებოდა და მამაჩემის ძველი ხალათის მოზრდილ ნაჭერს, ჩემთან სახლში, თასების თასი დაახატა. შემდეგ, ეს ნახატი აქეთ-იქიდან ჯოხებზე წამოვაცვით და პლაკატი გამოგვივიდა. ძალიან ლამაზი იყო. იმ, ფინალისწინა თამაშზე, მალიმალ აღვმართავდით ხოლმე ჩვენს შედევრს. ყურადღებაც მივიპყარით, მატჩი რომ დამთავრდა, დაბლიდან, ანუ სარბენი ბილიკებიდან ერთ-ერთმა ფოტოკორესპონდენტმა, გასწორდითო, გვანიშნა და გაშლილი პლაკატით გადაგვიღო. ახლა ისე ვიხსენებ, რომ ის ფოტორეპორტიორი ცნობილი ალექსანდრე კოტორაშვილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ... ჰოდა, ის-ის იყო, ფოტო გადაგვიღეს, რომ ვიღაც, ჩვენზე კარგად უფროსი ბიჭი მოვიდა და პლაკატი გვთხოვა. დიუსელდორფში მოვიგებთ თუ წავაგებთ, სულერთია, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის შემდეგ თამაშზე აი, აქ მოვალ და კაცი არ ვიყო, თუ არ დაგიბრუნოთო. რატომღაც ვენდეთ. მერე რა მოხდა, არ მახსოვს. დიუსელდორფში მოვიგეთ, იმ ადგილას კი, მგონი, ჩვენვე არ მივსულვართ, მაგრამ ეს ყველაფერი 13 მაისის დილას, ცხადია, არ ვიცი. უბრალოდ, ცალ ხელში „კოსმოსი" მიჭირავს, მეორეში ორად მოკეცილი ტყავის თხელი ჩანთა, სკოლისკენ მივაბოტებ და საკუთარ თავზე ვბრაზდები, ეს რა სისულელე მოგვივიდა მეთქი.

### თამაზ კოსტავა

კოსტავას პადკატი ძალიან მაგარია! მარჯვენიდან ხომ კაცი ვერ გაურბის და, ბურთს რომ მიიღებს, ფეხზე მიწებებული მიაქვს მოედნის კიდის გასწვრივ მოწინაალმდეგის კარამდე. მერედა, იქ გამწვავებაც ეხერხება. კოსტავას იმედი ნაღდად მაქვს, მაქვს...



ალექსანდრე ჩივაძე

დაზღვევა გინდა, მეტოქის პასის ჩაჭრა, ბურთის წართმევა, მიღებულის შენარჩუნება, მწვავე შეტევის წამოწყება, კარში დარტყმა, ელეგანტურობა...

### ნოდარ ხიზანიშვილი

შოთა ხინჩაგაშვილი ჩემი ჯილაა, მაგრამ დისკვალიფიცირებულია და ამიტომ დაცვის ცენტრში ხიზანიშვილი ითამაშებს. ხიზანა ფლანგზე უფრო მაგარია, მაგრამ ცენტრშიც შეუძლია მაგრად თამაში. ბევრჯერ გვინახავს უშეცდომოდ დამდგარი. ხიზანიშვილის იმედი მაქვს...

### გია თავაძე

შედარებით ახალია და „ლივერპულებში" და „ჰამბურგებში" მაინცდამაინც არ გვინახავს, მაგრამ რაკიღა „დინამოშია" და „დინამოც" „დინამოა", ესე იგი, იმედიც უნდა გვქონდეს... მოკლედ, იმედი გვაქვს...

მივდივარ ჩემი ლურჯი ბუტილკა შარვლით და გზად ერთ-ორ სხვა სკოლას უნდა ჩავუარო. პირველს მივუახლოვდი: „დი-ნა-მო", „დი-ნა-მო"! მგონი, ვიღაცები ქუჩიდანაც აყვნენ. მეორეს მივუახლოვდი და ისევ: „დი-ნა-მო", „დი-ნა-მო"! ნაბიჯს ვაჩქარებ, ძალიან მინდა, ჩემს სკოლაში მივიდე და ამათსავით ავღრიალდე: „დი-ნა-მო", „დი-ნა-მო"!

...გაკვეთილებზე რა მოხდა, არ მახსოვს, ბოლოს და ბოლოს, ოცდახუთი წელიწადია გასული. სამაგიეროდ, ზუსტად მახსოვს, რომ გაკვეთილების შემდეგ ძმაკაცს, აი, იმას, რომელმაც თასი დახატა, სახლში მივყვები. აქ სულ ათი-თხუთმეტი წუთი უნდა გავჩერდე, მეტი არა, თორემ სახლში მისვლას, ტანსაცმლის გამოცვლას და რეპეტიტორთან გაქცევას ველარ მოვასწრებ. ამ ზაფხულზე მისაღები გამოცდები მიწევს. ათ-თხუთმეტ წუთზე მეტი არც სჭირდება იმას, რისთვისაც ავდივარ: გიამ გიტარაზე უნდა დაუკრას, მე კი მოვუსმინო. ასე მოვიქეცით „ვესტ ჰემის" დღეებში, ასე მოვიქეცით „ფეიენოორდის" დღეებში და ასე უნდა მოვიქცეთ დღესაც.

### ვიტალი დარასელია

ტაიფუნი, გრიგალი, სტიქიური მოვლენა ფეხებზე ბურთის წებოთი... აი, ბურთი ადამიანს რომ შეეხება, ხომ დახტის?! დარასელიას ფეხებთან ასე არაა, რბილდება და მორჩილი ხდება. მაგრადაც არტყამს. იმედი თუ მაქვს? ამას კითხვა არ უნდა...

### თენგიზ სულაქველიძე

იმედი მაქვს! მოედნის შუაში ვეებერთელა კლდე რომ დადო, ისეა. ლოდი კი არა, კლდე, განიერი და მაღალი, უშველებელი. შესკდეს ვისაც უნდა...

### ზაურ სვანაძე

თავაძისა არ იყოს, დიდი ხანი არ არის, რაც „დინამოშია", მაგრამ ალალი და მუშა ჩანს. რახან „დინამოშია", ესე იგი, მაგარი უნდა იყოს...

მე და ჩემი ბუტილკა ახლა სახლში უნდა დავბრუნდეთ. ცალ ხელში ისევ „კოსმოსი", მეორე იღლიაში ორად მოკეცილი ტყავის ჩანთა. ჯიბიდან ასანთს ვიღებ. ბოლო ღერი ყოფილა. არ ვუკიდებ. ქუჩაში ჩემხელა ბიჭს ვაჩერებ: ასანთის ღერებს ვთხოვ. ბიჭი თავის კოლოფში ყოფს თითებს და რამდენიმე ღერს მაძლევს. თებერვლიდან მოყოლებული ჩათქმული მაქვს, თუ ამ კოლოფს არ გადავაგდებ, „დინამო" თასს აიღებს.



დავით ყიფიანი

მას ჩემთვის რელიგიური მნიშვნელობა აქვს და კითხვას, იმედი მაქვს თუ არა, ვერ დავსვამ. ვიცი, ისეთ პასს გააკეთებს... ისეთ რამეს მოიფიქრებს...



რამაზ შენგელია

იმედი მაქვს კი არა, შენგელია ძალიან დიდი თავდამსხმელია. ნახევარი ბრუნით, სრული ბრუნით, თავით, გაჩერებულ ბურთზე, მოხტუნავე ბურთზე... ყიფიანი ბურთს მიიღებს და ეს სადღაც გარბის, სულ არ იყურება უკან. მერე წკაპ და ირკვევა, რომ ეს იქით გარბოდა, სადაც ყველაზე სწორი იყო, ის კი წკაპის წამს ელოდა და...

### ვლადიმერ გუცაევი

ფეიერვერკი გინახავთ? თავიდან რომ არ ელი და პირველი ვარსკვლავი ამოვარდება თავისი „ბახით" და „ბუხით", მერე კი: ვარსკვლავი, ვარსკვლავი, ვარსკვლავი, ფანტაზია, ფანტაზია, ფანტაზია, გაბრწყინება, გაბრწყინება, გაბრწყინება... ჰო, მაქვს იმედი, აბა, რა.

### სათადარიგოები

ყველას ვენდობი, „დინამო" დიდი გუნდია.



ნოდარ ახალკაცი

საქართველოში საუკეთესო ევროპელი მწვრთნელების ტოლი და სწორი კაცი გვყავს. ის ბიჭებს ისე დაარიგებს, რომ...

მაგრამ მაინც ვნერვიულობ. რომელი საათია?

რეპეტიტორმა მალე გამომიშვა, დღეს ფეხბურთიაო. შინისკენ მოვდივარ, ბოლო „კოსმოსს" ვუკიდებ. უი, იმ ბიჭის მოცემული ასანთის ღერებიც გამოლეულა. ბოლოღაა. მორჩა, თებერვლიდან შემონახული კოლოფი ცარიელია. დღეს მეტს ველარ მოვწევ, რადგან უკვე სახლში ვიქნები. ორ საათში ფეხბურთი იწყება...

**პაპუნა ძედია**



გურამ [illegible] ფოტო

# ვიტალი

## უთქმელი ბიჭი, რომელიც სათქმელს ბურთით ამბობდა

„კიპიანი... დარასელია... ვაშოლ ვ შტრაფნუიუ... მოჟნა ბიწ... აბვიოლ ვტაროვა, უდარ პა ვაროტამ, გოლ! გოლ! გოლ!" — სამწუხაროდ, დღეს არც ამ ლეგენდა-სიტყვების ავტორია ცოცხალი და არც იმ ოქროს გოლისა, მაგრამ ვიტალი დარასელიას სლალომი და „კარლ ცაისთან" გატანილი გოლი-შედევრი სამუდამოდ დარჩა ქართული ფეხბურთის ისტორიის ყველაზე ბედნიერ წუთად.

დღეს 13 მაისია, 25 წელი შესრულდა თასების თასის მოგებიდან და ახლანდელი წარუმატებლობით გულშეღონებული ქართველი ქომაგები დღესაც დიუსელდორფული მოგონებებით ტკბებიან. ყიფიანის გამოზომილი პასი, დარასელიას ცრუმოძრაობები, ახლო კუთხეში ცაციათი დაქუხებული, „კარლ ცაისის" მეკარე ჰანს-ულრიხ გრაპენტინის ამაო ნახტომი და ხელის ჩაქნევა...

ვიტალი დარასელიამ იმ დაუვიწყარი გოლის შემდეგ წელიწადნახევარი იცოცხლა, მან არნახულად სწრაფად მოასწრო ქომაგების სიყვარულის დამსახურება და სიცოცხლე მოესწრაფა მაშინ, როცა ვინძლო, უფრო მეტი უნდა გაეკეთებინა — ის ხომ მხოლოდ 25 წლისა იყო...

მაგრამ რაც მოასწრო, იმის მოსწრებასაც რჩეულები ახერხებენ

— ვიტალის პატარაობიდანვე ეტყობოდა ფეხბურთის საოცარი ნიჭი. ის მთელ ოჩამჩირეს გამორჩეულად უყვარდა, ყველა ეფერებოდა იმიტომ, რომ ძალიან გაჭირვებული ოჯახის შვილი იყო. შეიძლება ითქვას, მთელი ბავშვობა შავი ზღვის პირზე, ბურთთან ერთად გაატარა, — გვიყვება ოჩამჩირის ყოფილი მთავარი ექიმი კონსტანტინე ბიბლაია, რომელიც ვიტალის კარგად იცნობდა. ხანშიშესული კაცი ვიტალის დაღუპვის ამბებს თვალცრემლიანი გვიყვება, არ მახსოვს, ოჩამჩირეს ამაზე დიდი ტკივილი განეცადოს იმ წლებშიო...

— ვიტალი ზღვის პირას მდებარე პატარა ბარაკში გაიზარდა. დედამისი ლუდის ბარში მრეცხავად მუშაობდა, მამა, კუხინი კი ფიზიკურად ვერ იმუშავებდა, რადგან ორივე ხელის მტევნები მოჭრილი ჰქონდა. სამამულო ომში იყო ნამყოფი და იქ გერმანელებმა დაასახიჩრეს.

...ძალიან დინჯი, ზრდილობიანი, უთქმელი ბავშვი იყო, ზედმეტს არავის არაფერს ეტყოდა. ბურთი, ბურთი და ბურთი — ეს იყო მისი ცხოვრება. ცოტა რომ წამოიზარდა, ვიტალიმ ოჩამჩირის „ამირანის" ბავშვთა გუნდში დაიწყო თამაში, რომელსაც ვადიკ აფუნდოპულო წვრთნიდა. მისი პირველი აღმზრდელი სწორედ აფუნდოპულო გახლდათ, მან მიიყვანა ვიტალი „ამირანის" ძირითად გუნდში, სადაც ყველა გააოცა, ისე თამაშობდა. გუნდის თავკაცი ბონდო კაკუბავა იყო და როდესაც ვიტალი „დინამოში" გადაიყვანეს და ჰკითხეს, ვინ გაგზარდაო, მანაც უპასუხა, კაკუბავამო. აფუნდოპულო უკვე მოხუცებული იყო, კაკუბავას კი დარასელიას გაზრდისთვის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭეს.

...უნდა გენახათ, რას აკეთებდა ვიტალი ოჩამჩირის უბნების ჩემპიონატზე, როცა სულ პატარა იყო. სისწრაფე იმდენად არ ჰქონდა, როგორიც ნაბიჯი — ბურთს რომ მოიგდებდა, ადგილზე ისე ატყუებდა მეტოქეებს, ისინი აზრზე ვერ მოდიოდნენ — ოჩამჩირეში ნიჭიერ ფეხბურთელებს რა გამოლევდა, ვიტალიზე არანაკლებ ძლიერებიც იყვნენ, მაგრამ ქალაქში ეს ბიჭი გამორჩეულად გვიყვარდა, გვეცოდებოდა — ვატყობდით, რომ ბურთისთვის იყო დაბადებული და ნიაზ ძიაპშპას ვთხოვეთ, თბილისის „დინამოში" წაეყვანა. ძიაპშპა იმხანად „დინამოს" უფროსი იყო. წაიყვანეს ვიტალი, ნახეს და ბევრი ყოყმანი არც დაუწყიათ მის აყვანაზე. იქიდან დაიწყო მისი აღმასვლა...

...ვიტალი რუსულ სკოლაში დადიოდა, მაგრამ ქართული და მეგრული ჩვეულებრივ იცოდა. იმ ბარაკებში, სადაც მისი ოჯახი ცხოვრობდა, ყველანი რუსულად ლაპარაკობდნენ და ვიტალის დედ-მამაც ასე იყვნენ. ამ პატარა ბიჭის გამო მისი ოჯახიც გამორჩეულად უყვარდათ.

...მახსოვს, ოჩამჩირის პირველი სკოლიდან ჩემი შვილი მომყავდა და ბურთთან ჩახუტებული ვიტალი დავინახე, ზღვის ჯებირთან იჯდა და ტიროდა. რომ მივედი და მოვეფერე, მითხრა, სომეხმა ანდრანმა მცემაო — ეს ანდრანი ხულიგანი იყო, ბავშვებსაც აწვალებდა ხოლმე და ვუთხარი ვიტალის, გამომყევი, უნდა გაცემინო-მეთქი. ანდრანი დავიჭირე, ვიტალის ჯერ ერიდებოდა, მაგრამ მერე ისეთი მოსცხო, რომ გული მოიჯერა. მერე ამ ამბავს სიცილით ხშირად მახსენებდა ხოლმე, როცა უკვე „დინამოში" თამაშობდა...

...ერთხელ ვიტალიმ დიდი ფული მომაგებინა იმ პერიოდში, როცა მანუჩარ მაჩაიძე ახალი გაშვებული იყო „დინამოდან" და ყველას აინტერესებდა, ვინ იქნებოდა კაპიტანი. „დინამო" — „სპარტაკის" თამაშზე ბილეთები ვერ ვიშოვე და ვიტალისთან მივედი სახლში. რა თქმა უნდა, ბილეთები მომცა და კაპიტანზე რომ ვკითხე, გიორგი ჭილაია იქნება, 7 ნომერიო. დავჯექი ტრიბუნებზე, ჩემს შვილს ვეუბნები, დღეს ჩვენებური კაცი უკაპიტნებს „დინამოს"-მეთქი. იქვე საში-ოთხი ბიჭი იჯდა და ქოქოლა დამაყარეს, ჭილაიას ვინ აღირსებს კაპიტნობასო. ნიძლავი შევთავაზე, მე მარტო ჭილაიას ვიტყვი, დანარჩენი ათი ფეხბურთელი კი თქვენი იყოს-მეთქი. სიამოვნებით დამეთანხმა. ისე მოხდა, რომ დიდი ფული ორივეს გვქონდა ჯიბში და მოვუგე — „დინამო" თავიდან ათი კაცით გამოვიდა ვარჯიშზე და ბოლოს გამოჩნდა ჭილაია სამკლავურით, შოკში ჩაცვივდნენ ის ბიჭები... მეორე დღეს ვიტალისთვის ფული უნდა გამენაწილებინა, მაგრამ იუარა, მაგას როგორ ვიზამო...

...მისი სიკვდილი უდიდესი ტრაგედია იყო. მახსოვს, მანქანა კი იპოვეს, მაგრამ ცხედარი კარგა ხანს ეძებეს. ერთ დღესაც ოჩამჩირის რაიკომში ბიჭები მივიდნენ, უნდა დაგვეხმაროთ ვიტალის ცხედრის მოძებნაში, მანქანით წაგვიყვანეთო. მე ჯანდაცვის პარტკომის წევრი ვიყავი, რაიკომის მდივანი კი თვით სერგეი ბაღაფში გახლდათ. ბაღაფშთან შევიყვანეთ ბიჭები, მან მანქანაც გამოყო და თავადაც წამოვიდა ზესტაფონში ცხედრის საძებრად. ვიტალის გუდაუთელმა მამიდაშვილმა იცოდა წესი, ძერა უნდა დაფრინავდეს იმ ადგილის გარშემო, სადაც ცხედარაიო. მივედით ყვირილასთან, დავაკვირდით ძერის ფრენას და დავინახეთ, ცხვირი მოუჩანდა მდინარეში ვიტალის...

...13 მაისს ოჩამჩირეში ვიყავი. სამწუხაროდ, „დინამოს" თბილისში დაბრუნებისასაც ვერ მოვიცალე და აეროპორტში ვერ დავხვდი ბიჭებს. რაც ოჩამჩირეში ფინალის დასრულებისას ხდებოდა, ნუ იტყვით, ხალხი ქუჩაში იყო გამოსული, მანქანის სიგნალებმა გააყრუა იქაურობა.

...ბედნიერი ვარ, რომ ვიტალი დარასელიას ვიცნობდი. ხშირად მიწევდა თბილისში ჩამოსვლა კვალიფიკაციაზე, თანაც დილმის მასივში და, ცხადია, „დინამოს" ბაზაზე მივდიოდი ხოლმე. ვიტალი რომ გამომელაპარაკებოდა, ხალხი მესეოდა, რა გითხრა, ჩვენც გვითხარიო...

...პოპულარობას ვიტალი არ შეუცვლია, ისეთივე დინჯი, ზრდილობიანი, მორიდებული დარჩა, როგორიც ბავშვობაში იყო...

**ილია ნანობაშვილი**





ნეაპოლის პროკურორის, ჯოვანდომენიკო ლეპორეს ცნობა: „იუვენტუსი“, „მილანი“, „ფიორენტინა“, და „ლაციო“ წინა სეზონში თამაშების გარიგებაში არიან ეჭვმიტანილები. საქმეში სულ 41 კაცი გადის, მათ შორის ფედერაციის მაღალჩინოსანი თანამშრომლები. დაიკითხებიან ჟურნალისტებიც. ეჭვია სერია A-ს 19 თამაშზე. ლუჩანო მოჯი ორშაბათს, 15 მაისს დაიკითხება


ჯანლუიჯი ბუფონი


ადრიანო გალიანი

# სკანდალის ახალი ფონი
## ბუფონი 600 ათასს ეთამაშება

**იტალიაში** საფეხბურთო სკანდალი ფართოვდება, ფრთებს შლის და ნაირნაირ პირუეტებს აკეთებს, მოვლენათა ეპიცენტრში კი „იუვენტუსია“, რომლის მმართველ დირექტორთა ლეგენდარული ტრიო, ლუჩანო მოჯი-ანტონიო ჯირაუდო-რობერტო ბეტეგა, ხუთშაბათს გადადგა. ამ გადადგომის მიზეზი „სარბიელის“ მკითხველთათვის ცნობილია: გაზეთებში გამოქვეყნდა „ბებერი ქალბატონის“ ხელმძღვანელებისა და იტალიის ფეხბურთის ფედერაციის მაღალჩინოსანთა სატელეფონო საუბრები, საიდანაც ირკვევა, რომ „იუვეს“ შეფები თავიანთ შეხვედრებზე მსაჯების დანიშვნას აკონტროლებდნენ. ამაზე, იტალიის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტმა და „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ თქვა, რომ დამტკიცებული ჯერ არაფერია, ოღონდ, თუ ვინმეს რამე შეეშალა, აუცილებლად დაისჯებაო. თუმცა მოდი გალიანისა და „იუვენტუსის“ ტრიოს ცოტა ხნით შევეშვათ და ახალ სკანდალს გავეცნოთ, რომლის მთავარ გმირებს ჯერ-ჯერობით არ ასახელებენ, თუმცა მაინც გაჟონა, რომ საუბარია ჯანლუიჯი ბუფონზე, მარკ იულიანოზე, ანტონიო კიმენტისა და ენცო მარესკაზე, რომელმაც ოთხშაბათს, ესპანური „სევილიას“ შემადგენლობაში, უეფას თასი მოიგო. რა აერთიანებს ამ ფეხბურთელებს? „იუვენტუსი“. ისინი „ბებერი ქალბატონის“ მოთამაშეები იყვნენ ან არიან, თუმცა ეს დანაშაული ჯერ არ არის. დანაშაული სხვაა: იტალიური კანონმდებლობის თანახმად, იტალიაში მოთამაშე ფეხბურთელებს ტოტალიზატორში თავიანთ ჩემპიონატზე დანიძლავების უფლება არ აქვთ, აქ კი ირკვევა, რომ სავარაუდოდ ბუფონს ერთ წელიწადში 600 ათასი ევროსი უთამაშია. მოკლედ, იტალიაშიც იგივე პრობლემაა, რაც ინგლისში, სადაც ზუსტად იმავეს ამასწინათ უეინ რუნის ედავებოდნენ.

ახლა კი დავუბრუნდეთ „იუვეს“ ტრიოს, რომელიც, ბუნებრივია ვილაცამ უნდა შეცვალოს. როგორც ირკვევა, კლუბის მეპატრონე ანიელების ოჯახის ახალი თავი, 29 წლის ჯონ ელკანი ამ საქმით სერიოზულადაა დაინტერესებული — ტრიოს გადადგომაც მასთან უნდა იყოს დაკავშირებული — და ბაბუამისის, აწგარდაცვლილი ჯანი ანიელის სახელით თვით მიშელ პლატინისთან აწარმოებს მოლაპარაკებას. პლატინი, მოგეხსენებათ, ფიფას პრეზიდენტობას აპირებს და „იუვენტუსის“ თანამშრომელი ვერ გახდება, მაგრამ ჯანი ანიელის ხსოვნას შეიძლება პატივი სცეს და მრჩევლობას მოკიდოს ხელი.

საერთოდ კი ამბობენ, რომ ლუჩანო მოჯის ადგილას „რომას“ ყოფილი დირექტორი ფრანკო ბალდინი ან ძველი კიევოელი ჯოვანი სარტორი დაინიშნება, ჯირაუდობეტეგობას კი ახალგაზრდა ჟანკლოდ ბლანსა და კარლო სანტალბანოს შესთავაზებენ, ოღონდ, ბუნებრივია იმაზეც ინერვიულებენ, ამ წყვილს ხელს გამოუცდელობა ხომ არ შეუშლისო.

და ბოლოს, გალიანიზე. თუ სკანდალია სკანდალი იყოსო და საფეხბურთო ლიგაში მისმა მოადგილემ, იმავდროულად „პალერმოს“ შეფმა მაურიციო ძამპარინიმ განაცხადა, რომ იტალიური ფეხბურთის სრული რეკონსტრუქციის მიზნით თანამდებობა გალიანიმაც უნდა დატოვოს. მოგეხსენებათ, რამდენიმე დღის წინ პოსტი დატოვა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ფრანკო კარარომ.

„ფეხბურთი სულ სხვა, საგანგებო და დროებითი მმართველის ხელში უნდა გადავიდეს. ეს ბევრჯერ მითქვამს და გალიანის გარდა ყველა დამთანხმებია“ — ამბობს ძამპარინი, რაზეც გალიანის ასეთი პასუხი აქვს:

„პირველად მესმის ასეთი რამ. მე არ გადავდგები, მითუმეტეს, რომ იტალიაში გადადგომა სისუსტედ ითვლება“.

ამბობენ, რომ გადაგომის ნაცვლად გალიანიმ ლიგის ხელმძღვანელებსა და წევრებს „ეთიკის კოდექსი“ შესთავაზა და მათაც გუშინდელ სხდომაზე ის ერთხმად დაამტკიცესო.

**პაპუნა ძედია**


მიშელ პლატინის „იუვენტუსში“ ეპატიჟებიან

# ჩანგალზე მისულნი

**ლონდონის** მეიფეას უბანში, „ემბისი“ კლუბში, შეიკრიბნენ პრემიერლიგის ლონდონელი ფეხბურთელები და სეზონის დასრულების დიადი თრობა გამართეს მოტკვარცალე გოგოებთან ერთად. ოღონდაც საქმე რომ გამთენიისკენ წავიდა, მუშტებიც დატრიალდა.

პატრულმა კლუბის წინ მოჩხუბრები შეამჩნია და საქმეში ჩაერია. მუშტი ცხვირპირში მოხვედროდა „ჩელსიდან“ „ფულემში“ განათხოვრებულ ნაკრების წევრს, უეინ ბრიჯს. ისტერიკამდე მისული ფეხბურთელი პატრულმა დააწყნარა.

ჩხუბის გამო დაკავებულია სამი კაცი, ოღონდ ფეხბურთელი არც ერთი არ არის, ფეხბურთელებს ჩანგალზე მიჰყოლიან. ერთი მათგანი ეშლი კოულის ძმაკაცი გამოდგა, რომელიც პოლიციის შავკანიან ოფიცერს რასისტული ლანძღვით შეეგება. თუმც საინტერესოა, თავად ეშლის როგორ ელაპარაკება ხოლმე.

მოქეიფეთა შორის იყვნენ: მთელი „ფულემის“ გუნდი; ჩელსელები — ჯონ ტერი, კარლტონ კოული, ეიდურ გუდიონსენი; ტოტენჰემელი ჯერმენ დეფო და ენტონი გარდნერი, ასევე ვესტჰემელი ენტონ ფერდინანდი.

ღამის კლუბის პატრონმა ჩხუბის არსი ასე განმარტა: „ამბავი ღამის სამ საათზე მოხდა. უკვე კლუბს ტოვებდნენ. ყველა ლონდონელი ვარსკვლავი აქ იყო. უეინს პატარა წაჩხუბი წაეპარაკება მოუხდა ერთ პიროვნებასთან და ის გარეთ გაიყვანეს. დიდი არაფერი მომხდარა, ორი ბიჭი წალაპარაკდა“.

„ჩელსის“ კაპიტანი ჯონ ტერი ჩხუბს არ შესწრებია, კლუბში იყო და დაჯერებით ვერაფერი თქვა.



უეინ ბრიჯის გალახვა
ჯონ ტერის არ უნახავს

**ირაკლი გამყრელიძე**
*ლონდონიდან*



**ხორვატიის** ნაკრების მწვრთნელმა ზლატკო კრანჩარმა გუშინ მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელი ფეხბურთელები დაასახელა, მაგრამ მის სიაში 23-ის ნაცვლად 24 კაცია, რომელთაგან ერთ-ერთი ორშაბათს განაცხადს გამოაკლდება.

ხორვატებს 23 მაისს ვენაში ავსტრიასთან ამხანაგური მატჩი ელით. ხუთი დღის მერე ირანს უმასპინძლებენ. 3 ივნისს გერმანიაში პოლონეთს შეხვდებიან, ხოლო 7 ივნისს შვეიცარიაში ესპანეთთან თამაშით სამუნდიალო მზადებას დაასრულებენ.

*მეკარეები: ტომისლავ ბუტინა (ბრიუგე, ბელგია), სტიპე პლეტიკოშა (ჰაიდუკი), ჯო დიდულიცა (აუსტრია, ავსტრია);*

*მცველები: რობერტ კოვაჩი (იუვენტუსი, იტალია), სტიეპან ტომაში (გალათასარაი, თურქეთი), დარიო შიმიჩი (მილანი, იტალია), მარიო ტოკიჩი (აუსტრია, ავსტრია), იოსიპ შიმუნიჩი (ჰერტა, გერმანია), იგორ ტუდორი (სიენა, იტალია), მარიან ბულიატი (დინამო ზაგრები);*

*ნახევარმცველები: ჟერკო ლეკო (დინამო, უკრაინა), იურიცა ვრანიეში (ვერდერი, გერმანია), ანტონი სერიჩი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), ნიკო კოვაჩი (ჰერტა, გერმანია), მარკო ბაბიჩი (ლევერკუზენი, გერმანია), დარიო სრნა (შახტარი, უკრაინა), ივან ლეკო (ბრიუგე, ბელგია), ლუკა მოდრიჩი (დინამო ზაგრები), ნიკო კრანჩარი (ჰაიდუკი);*

*თავდამსხმელები: ივან კლასნიჩი (ვერდერი, გერმანია), ივან ბოშნიაკი (დინამო ზაგრები), ბოშკო ბალაბანი (ბრიუგე, ბელგია), ივიცა ოლიჩი (ცსკა, რუსეთი), დადო პრსო (რეინჯერსი, შოტლანდია)*

**მექსიკა**
კლაუსურა. პლეი ოფი
ნახევარფინალი. I მატჩი
გვადალახარა 1:2 პაჩუკა

**ჩილე**
პრიმერადივიზიონი
გადადებული მატჩი
სან მორნინგი 0:3 კოლო კოლო

**Copa Toyota Libertadores '2006**
მეოთხედფინალი. პირველი მატჩი
რივერ პლეიტი (არგენტინა) 2:2 ლიბერტადი (პარაგვაი)

# კომბლე

## მანჩინი თასებს იგებს და ჭერში აწყობს



### იტალია
**თასის ფინალი**
**საპასუხო მატჩი**

**ინტერი 3:1 რომა (1:1)**

1:0 კამბიასო (6), 2:0 კრუზი (46), 3:0 მარტინსი (76), 3:1 ნონდა (80)

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, ხ. ძანეტი, მატერაცი, სამუელი, ფავალი, ფიგუ (კილი გონსალესი 82), დ. პიზარო, კამბიასო, სტანკოვიჩი (სოლარი 58), ადრიანო (მარტინსი 66), ხ. კრუზი

**მწვრთნელი:** რობერტო მანჩინი

**რომა:** დონი, პანუჩი, ბოვო, კივუ (კუფური 10), კუფრე, დაკური, ხარჯა (ნონდა 75), როზი, ტომაზი, მანსინი, ოკაკა ჩუკა (ტოტი 54)

**მწვრთნელი:** ლუჩანო სპალეტი

**გაფრთხილება:** ხარჯა, პიზარო, მატერაცი, როზი, ბოვო

**მსაჯი:** მესინა

49 557 მაყურებელი

**ზედიზედ** მეორედ, იტალიის თასის ფინალში ერთმანეთს „ინტერი“ და „რომა“ გადაეყარნენ და გამარჯვება ამჯერადაც მილანელებს დარჩათ. რობერტო მანჩინიმ კი კიდევ ერთხელ გაამართლა თავისი მეტსახელი — „მისტერ კოპა იტალია“. ფეხბურთელობისას თუ მწვრთნელობისას კარიერაში მეათედ მოიპოვა ქვეყნის თასი. შეგახსენებთ, რომ პირველი მატჩი რომში 1:1 დამთავრდა და ჯამში „ინტერმა“ 4:2 მოიგო.

„ინტერი“ აშკარა ფავორიტად ითვლებოდა, რადგან მის მეტოქეს დისკვალიფიკაციის გამო არ ჰყავდა ფილიპ მექსეში, როდრიგო ტადეი და სიმონე პეროტა, ხოლო დანიელე დე როსის გრიპი შეეყარა. „ნეროაძურის“ მხოლოდ ივან კორდობა აკლდა, სამაგიეროდ, დაუბრუნდა ხუან სებასტიან ვერონი. „გლადიატორების“ რიგებში კი, უამრავი იტალიელი ქომაგის გასახარად, თითქმის სამთვიანი პაუზის შემდეგ, 54-ე წუთზე მინდოზე ფრანჩესკო ტოტი გამოვიდა. მას გოლის გატანაც შეეძლო — შორეული დარტყმა ოდნავ აცილა მიზანს. მოგვიანებით კი შეცვლაზე 5 წუთის შესულ შაბანი ნონდას კუთხურიდან ჩაუწოდა და ერთი საპასუხო გაატანინა.

„ნეროაძური“ უფრო დამაჯერებლად გამოიყურებოდა. მე-6 წუთზე ხავიერ ძანეტიმ მარჯვენა ფლანგზე გაილაღა, ესტებან კამბიასოს პასი გაუჭრა, რომლის გოლიც ეფექტური გამოდგა. პირველი ტაიმის ბოლოს მასპინძელთა კლასიკურ კონტრიერიშს დეიან სტანკოვიჩის კარგი პასი და ხულიო რიკარდო კრუზის გოლი მოჰყვა. მესამე გოლისას კი „ინტერმა“ მეტოქე თამაშგარის შექმნის მცდელობისას გამოიჭირა და ობაფემი მარტინსის ზუსტმა დარტყმამაც არ დაახანა.

რობერტო მანჩინი: „ძალიან მიხარია, უფრო ფეხბურთელების გამო. მათ ეს დაიმსახურეს. ჩემპიონთა ლიგიდან სულელურად გამოვვარდით. თანაც „არსენალმა“ „ვილიარეალთან“ ჩვენზე ბევრად უარესად ითამაშა და ახლა ფინალშია. სერია A-ში სხვა პრობლემები იყო, ამაზე მერე ვისაუბროთ. მთავარია, უტიტულოდ არ დავრჩით და, იმედია, მომავალი სეზონი გაცილებით წარმატებული იქნება, მზადება უკვე დავიწყეთ“.

„ინტერში“ წარმატებული სეზონი მქონდა და ბევრი გოლი გავიტანე, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ძირითად შემადგენლობაში არ ვიყავი. ამიტომ ვიმედოვნებ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოვხვდები. მართალია, ხოსე პეკერმანმა აქამდე მხოლოდ ორჯერ გამომიძახა, მაგრამ მჯერა, მას ჩემი იმედი აქვს და გერმანიაში [illegible] შეეხება ჩემს [illegible]ტე, „ინტერში“ დავრჩე, თუმც შემოთავაზება „რომასგან“, „ფიორენტინასგან“ და ერთი ესპანური კლუბისგან მქონდა“ — თქვა ხულიო რიკარდო კრუზმა.

„ამხელა პაუზის შემდეგ მინდორზე დაბრუნება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო და მართალია, თასი ვერ მოვიპოვეთ, მაგრამ კმაყოფილი ვარ. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ქომაგებს, რომლებიც ბოლო წამებამდე მხარში გვედგნენ, მიუხედავად იმისა, რომ ვაგებდით“ — აღნიშნა ტოტიმ.

**გიორგი ქაქაბაძე**




ტანგო მინდორზე: სამუელი და ტოტი

# იტალია

## გაუქეთებს რეჯინა იუვენტუსს პერუჯას?



პატრიკ ვიეირა ბოლო ტურს გამოტოვებს

„რეჯინა“ — „იუვენტუსის“ მატჩზე ლაპარაკისას ბევრი, ნებით თუ უნებლიეთ, 2000 წელს იხსენებს, როდესაც სერია A-ს ბოლო ტურში „რეჯინას“ დარმა პატარა კლუბმა „პერუჯამ“ კოკისპირულ წვიმაში 1:0 მოუგო ტურინელებს, რითაც მათმა მდევარმა „ლაციომ“ ისარგებლა და ჩემპიონი გახდა. რეჯო კალაბრიელებს დასაკარგი არაფერი აქვთ და ლაღად ანუ გამარჯვებისთვის ითამაშებენ.

„ბებერ ქალბატონს“ ერთი ის უპირატესობა აქვს, რომ მატჩი ნეიტრალურ მოედანზე, ბარიში გაიმართება, რადგან ფანების უწესრიგო ქცევის გამო „რეჯინას“ სტადიონი ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციითაა დასჯილი.

„იუვენტუსს“ პატრიკ ვიეირა ჰყავს დისკვალიფიცირებული, რომელსაც ჯულიანო ჯანიკედა შეცვლის, „რეჯინას“ კი ამავე მიზეზის გამო ალესანდრო ლუკარელი არ ეყოლება. ფაბიო კაპელო შეტევაში ტრეზეგე-იბრაჰიმოვიჩის წყვილის დაყენებას აპირებს, ხოლო ალესანდრო დელ პიერო, ალბათ, შეცვლაზე შევა. იბრაჰიმოვიჩმა ხანგრძლივი პაუზის მერე გასულ უქმეებზე გაიტანა და კაპელოს და ფანებს ეიმედებათ, რომ ახლაც იმარჯვებს. მოგეხსენებათ, ტურინელებს სკუდეტოს გასანაღდებლად ფრეც ჰყოფნით და თუ „ბებერი ქალბატონი“ არ წააგებს კლუბის ახალი რეკორდიც დამყარდება — სერია A-ში მიჯრით ოცდაშვიდმატჩიანი წაუგებელი სერია.

„რეჯინას“ თავდასხმაში კი ნიკოლა ამიროუზოა, „იუვენტუსის“ ყოფილი ფორვარდი. მან ამ სეზონში უკვე გაიმეორა რეჯო კალაბრიელთა რიგებში მოჰამედ კალონის დამყარებული რეკორდი — სერია A-ში 11 გოლი — და თავისი ყოფილი გუნდის კარში გატანით სურს, ეს შედეგი გააუმჯობესოს.

„მილანს“ თვალ-ყური ბარისკენ ექნება, მაგრამ მარტივი მატჩი არც თავად ელის, რადგან „რომას“ თავისი გასაჭირი აქვს, მეოთხე ადგილისთვის იბრძვის. კარლო ანჩელოტი ტრავმირებულ ანდრეი შევჩენკოს, მასიმო ამბროზინის, პაოლო მალდინისა და იაპ სტამს ვერ დაიხმარს. „გლადიატორებს“ კი ვინჩენცო მონტელა და ალბერტო აკილანი არ ეყოლებათ. ვთქვათ ისიც, რომ „რომას“ რიგებში თავის ბოლო მატჩს ჩაატარებს ოლივიე დაკური.

„ფიორენტინას“ კი ვერონაში 13 ათასი ქომაგი მიჰყვება, სადაც ფლორენციელებს გამარჯვება სჭირდებათ, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის საგზურს ნებისმიერ შემთხვევაში მოიპოვებენ, თუ „რომა“ „მილანს“ ვერ მოუგებს. წესით, „კიევომ“ თავი არ უნდა მოიკლას, რადგან უეფას თასის საგზური უკვე გაინაღდა, თანაც მასპინძლებს ლორენცო დაინა, ფედერიკო ჯუნტი, დანიელე ფრანჩესკინი, ფედერიკო კორატო და ჯუზეპე სკურტო არ ეყოლებათ, „იები“ კი სამ მოთამაშეს მოისაკლისებენ — გილერმო დო პრადოს, სებასტიან ფრეისა და მიკელე პაციენცას.

**გიორგი ქაქაბაძე**

| XXXVIII ტური | | |
|---|---|---|
| ხვალ | | |
| ემპოლი | : | ასკოლი |
| კიევო | : | ფიორენტინა |
| კალიარი | : | ინტერი |
| რეჯინა | : | იუვენტუსი |
| სამპდორია | : | ლეჩე |
| სიენა | : | ლივორნო |
| პალერმო | : | მესინა |
| ლაციო | : | პარმა |
| მილანი | : | რომა |
| ტრევიზო | : | უდინეზე |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | იუვენტუსი | | 0:0 | 2:0 | 1:1 | 1:1 | 1:1 | 1:0 | 2:1 | 3:0 | 2:1 | 1:1 | 1:0 | 2:0 | 1:0 | 2:1 | 4:0 | 2:0 | 1:0 | 3:1 | 3:1 | 37 | 26 | 10 | 1 | 69:24 | 88 | 14 | 5 | 0 | 33:9 | 47 | 12 | 5 | 1 | 36:15 | 41 |
| 2 | მილანი | 3:1 | | 1:0 | 3:1 | | 2:0 | 4:1 | 2:1 | 2:0 | 3:0 | 4:3 | 5:1 | 1:1 | 2:1 | 1:0 | 1:0 | 3:1 | 4:0 | 2:1 | 5:0 | 37 | 27 | 4 | 6 | 83:30 | 85 | 17 | 1 | 0 | 48:12 | 52 | 10 | 3 | 6 | 35:18 | 33 |
| 3 | ინტერი | 1:2 | 3:2 | | 1:0 | 2:3 | 3:1 | 1:0 | 3:0 | 5:0 | 4:1 | 2:0 | 3:1 | 1:0 | 4:0 | 1:0 | 3:2 | 1:1 | 3:0 | 3:0 | 3:0 | 37 | 23 | 6 | 8 | 66:28 | 75 | 16 | 1 | 2 | 47:13 | 49 | 7 | 5 | 6 | 19:15 | 26 |
| 4 | ფიორენტინა | 1:2 | 3:1 | 2:1 | | 1:1 | 1:2 | 2:1 | 1:0 | 3:2 | 2:1 | 4:1 | 4:2 | 2:1 | 5:2 | 3:1 | 2:1 | 2:1 | 2:0 | 1:0 | 1:0 | 37 | 21 | 8 | 8 | 64:41 | 71 | 16 | 1 | 2 | 42:20 | 49 | 5 | 7 | 6 | 22:21 | 22 |
| 5 | რომა | 1:4 | 1:0 | 1:1 | 1:1 | | 1:1 | 4:0 | 1:2 | 3:0 | 1:0 | 4:1 | 0:1 | 0:0 | 3:1 | 2:1 | 4:3 | 2:3 | 2:1 | 3:1 | 1:0 | 37 | 19 | 12 | 6 | 69:40 | 69 | 11 | 4 | 4 | 35:21 | 37 | 8 | 8 | 2 | 34:19 | 32 |
| 6 | ლაციო | 1:1 | 0:0 | 0:0 | 1:0 | 0:2 | | 2:2 | 4:2 | 3:1 | 3:3 | | 1:1 | 2:0 | 2:1 | 4:1 | 1:1 | 3:2 | 1:0 | 1:0 | 3:1 | 37 | 15 | 14 | 8 | 55:47 | 59 | 10 | 7 | 1 | 32:18 | 37 | 5 | 7 | 7 | 23:29 | 22 |
| 7 | კიევო | 1:1 | 2:1 | 0:1 | | 4:4 | 2:2 | | 0:0 | 2:1 | 2:2 | 1:0 | 2:0 | 1:1 | 4:0 | 1:1 | 2:1 | 4:1 | 2:0 | 3:1 | 0:0 | 37 | 13 | 15 | 9 | 54:47 | 54 | 9 | 8 | 1 | 33:17 | 35 | 4 | 7 | 8 | 21:30 | 19 |
| 8 | პალერმო | 1:2 | 0:2 | 3:2 | 1:0 | 3:3 | 3:1 | 2:2 | | 0:2 | 2:2 | 4:2 | 2:0 | 0:2 | 1:0 | 1:1 | 2:2 | 1:3 | | 3:0 | 1:0 | 37 | 12 | 13 | 12 | 49:52 | 49 | 8 | 5 | 5 | 30:26 | 29 | 4 | 8 | 7 | 19:26 | 20 |
| 9 | ლივორნო | 1:3 | 0:3 | 0:0 | 2:0 | 0:0 | 2:1 | 0:0 | 3:1 | | 2:0 | 2:0 | 0:2 | 0:0 | 1:0 | 2:0 | 0:1 | 2:2 | 2:2 | 2:1 | 1:1 | 37 | 12 | 12 | 13 | 37:44 | 48 | 8 | 7 | 4 | 22:17 | 31 | 4 | 5 | 9 | 15:27 | 17 |
| 10 | ემპოლი | 0:4 | 1:3 | 1:0 | 1:1 | 1:0 | 2:3 | 2:1 | 0:1 | 2:1 | | 1:2 | 1:1 | 2:1 | 3:0 | | 3:1 | 2:1 | 1:3 | 1:0 | 1:1 | 37 | 13 | 6 | 18 | 46:59 | 45 | 9 | 3 | 6 | 25:24 | 30 | 4 | 3 | 12 | 21:35 | 15 |
| 11 | პარმა | 1:2 | 2:3 | 1:0 | 2:4 | 0:3 | 1:1 | 2:1 | 1:1 | 2:1 | 1:0 | | 1:2 | 1:1 | 4:0 | 0:0 | 1:0 | 1:1 | 1:1 | 2:0 | 1:1 | 37 | 12 | 9 | 16 | 46:59 | 45 | 7 | 7 | 5 | 25:22 | 28 | 5 | 2 | 11 | 21:37 | 17 |
| 12 | უდინეზე | 0:1 | 0:4 | 0:1 | 0:0 | 1:4 | 3:0 | 1:1 | 0:0 | 0:2 | 1:0 | 2:0 | | 2:0 | 1:2 | 1:1 | 2:0 | 1:2 | 1:0 | 1:2 | 2:2 | 37 | 11 | 10 | 16 | 39:52 | 43 | 6 | 5 | 8 | 19:22 | 23 | 5 | 5 | 8 | 20:30 | 20 |
| 13 | სამპდორია | 0:1 | 2:1 | 2:2 | 3:1 | 1:1 | 2:0 | 1:2 | 0:2 | 0:2 | 2:0 | 1:2 | 1:1 | | 3:2 | 1:2 | 1:1 | 3:3 | 4:2 | | 1:1 | 37 | 10 | 11 | 16 | 46:48 | 41 | 6 | 6 | 6 | 28:26 | 24 | 4 | 5 | 10 | 18:22 | 17 |
| 14 | რეჯინა | | 1:4 | 0:4 | 1:1 | 0:3 | 1:0 | 1:3 | 2:2 | 1:1 | 0:2 | 2:1 | 2:0 | 2:1 | | 2:0 | 3:1 | 1:1 | 3:0 | 2:0 | 1:2 | 37 | 11 | 8 | 18 | 39:62 | 41 | 8 | 4 | 6 | 25:26 | 28 | 3 | 4 | 12 | 14:36 | 13 |
| 15 | ასკოლი | 1:3 | 1:1 | 1:2 | 0:2 | 3:2 | 1:4 | 2:2 | 1:1 | 0:0 | 3:1 | 3:1 | 1:1 | 2:1 | 1:1 | | 2:2 | 1:1 | 1:0 | 2:0 | 1:0 | 37 | 8 | 16 | 13 | 41:52 | 40 | 7 | 8 | 4 | 27:25 | 29 | 1 | 8 | 9 | 14:27 | 11 |
| 16 | კალიარი | 1:1 | 0:2 | | 0:0 | 0:0 | 1:1 | 2:2 | 1:1 | 1:1 | 4:1 | 3:1 | 2:1 | 2:0 | 0:2 | 2:1 | | 1:0 | 1:1 | 0:0 | 0:0 | 37 | 8 | 14 | 15 | 40:53 | 38 | 6 | 10 | 2 | 21:15 | 28 | 2 | 4 | 13 | 19:38 | 10 |
| 17 | სიენა | 0:3 | 0:3 | 0:0 | 0:2 | 0:2 | 2:3 | 0:1 | 1:2 | | 1:0 | 2:2 | 2:3 | 1:0 | 0:0 | 1:1 | 2:1 | | 4:2 | 1:2 | 1:0 | 37 | 9 | 11 | 17 | 42:60 | 38 | 5 | 4 | 9 | 18:27 | 19 | 4 | 7 | 8 | 24:33 | 19 |
| 18 | მესინა | 2:2 | 1:3 | 1:2 | 2:2 | 0:2 | 1:1 | 2:0 | 0:0 | 0:0 | 0:3 | 0:1 | 1:1 | 1:4 | 1:1 | 1:1 | 1:0 | 0:0 | | 2:1 | 3:1 | 37 | 6 | 13 | 18 | 33:58 | 31 | 4 | 9 | 6 | 19:25 | 21 | 2 | 4 | 12 | 14:33 | 10 |
| 19 | ლეჩე | 0:3 | 1:0 | 0:2 | 1:3 | 2:2 | 0:0 | 0:0 | 2:0 | 0:0 | 1:2 | 1:2 | 1:2 | 0:3 | 0:0 | 0:0 | 3:0 | 3:0 | 0:2 | | 1:1 | 37 | 6 | 8 | 23 | 27:56 | 26 | 4 | 7 | 8 | 16:22 | 19 | 2 | 1 | 15 | 11:34 | 7 |
| 20 | ტრევიზო | 0:0 | 0:2 | 0:1 | 1:3 | 0:1 | 0:1 | 1:2 | 2:2 | 0:1 | 1:2 | 0:1 | | 0:2 | 0:1 | 2:2 | 1:2 | 0:1 | 0:0 | 2:1 | | 37 | 2 | 12 | 23 | 22:55 | 18 | 1 | 4 | 13 | 10:25 | 7 | 1 | 8 | 10 | 12:30 | 11 |

# გერმანია
## ომი ზედა-ქვედა სართულებზე



ტორსტენ ფრინგსი

**ბუნდესლიგა** დღეს მთავრდება, მაგრამ 9 ივნისიდან მსოფლიოს ჩემპიონატი გახურდება და გერმანია არ მოიწყენს. რაღა დარჩა გასარკვევი ბუნდესლიგაში? ჩემპიონი „ბაიერნია“, „დუისბურგი“ და „კიოლნი“ გავარდნენ, ხოლო ვოლფსბურგში დიდი ომი გაიმართება ელიტაში დასარჩენად — „ვოლფსბურგი“ „კაიზერსლაუტერნს“ მასპინძლობს. „მგლები“ ქულით უსწრებენ ლაუტერნელებს და ფრეც ხელს აძლევთ მე-15 ადგილის შესანარჩუნებლად, ხოლო სტუმრებს აუცილებლად მოგება სჭირდებათ. ამ მომენტისთვის, ბოლო თამაშებით თუ ვიმსჯელებთ, „კაიზერსლაუტერნი“ უკეთეს ფორმაშია, რაკი ზედიზედ სამი მატჩი არ წაუგია, მათ შორის, გასულ კვირას, შინ „ბაიერნს“ ქულა დაატოვებინა. „ვოლფსბურგს“ კი მიჯრით სამი საშინაო შეხვედრა ვერ მოუგია და ეგებ ბოლო ტურში მაინც გატეხოს ნავსი. „ფსიქოლოგიური უპირატესობა ჩვენ გვაქვს, რადგან ბოლოხანებში თამაში გამოვასწორეთ“ — თქვა ლაუტერნელმა ჰალილ ალტინტოპმა, რომელიც ამ ზაფხულს „შალკეში“ გადადის. „კაიზერსლაუტერნი“ მეთერთმეტე ტურიდან ქვედა სამეულშია, ხოლო „ვოლფსბურგი“ სეზონის განმავლობაში აუტსაიდერებში არასოდეს ყოფილა.

ჰამბურგშიც ომი იქნება, ოღონდ მეორე ადგილისთვის, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზურს ნიშნავს. ჰამბურგელებს სამი ტურის წინ თითქოს გარანტირებული ჰქონდათ მეორე ადგილი, მაგრამ სამ მატჩში მხოლოდ სამი ქულა აიღეს და „ვერდერი“ მიიახლოვეს. ბრემენელები კი საუცხოო ფორმაში არიან. ჯერ დუისბურგელებს სძლიეს 5:3, მერე „კიოლნიც“ ზედ მიაყოლეს 6:0, თუმც „ჰამბურგი“, არც ერთია და არც მეორე, ასე იოლად რომ დაჯაბნონ. თომას დოლის გუნდს ფრე უნდა მეორე საფეხურის შესანარჩუნებლად, ხოლო „ვერდერს“ მხოლოდ გამარჯვება სჭირდება ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში პირდაპირ მოსახვედრად. მასპინძლებს კვლავ არ ეყოლებათ ტრავმირებული ჰოლანდიელი ვან დერ ვაარტი. ისიც ვთქვათ, რომ „ვერდერი“ 18 მარტის აქეთ დაუმარცხებელია.

„ვერდერი“ უკეთესი გუნდია, რაც მთელი სეზონის განმავლობაში ჩანდა ახლა კი ეს ბოლო, გადამწყვეტ თამაშში უნდა დავამტკიცოთ“ — თქვა ბრემენელმა ტორსტენ ფრინგსმა.

**XXXIV ტური**

**დღეს**

| | | |
|---|---|---|
| ჰამბურგი | : | [illegible] |
| კიოლნი | : | არმინია |
| დუისბურგი | : | მაინცი |
| შალკე | : | შტუტგარტი |
| ვოლფსბურგი | : | ლაუტერნი |
| ბაიერნი | : | დორტმუნდი |
| აინტრახტი | : | გლადბახი |
| ჰანოვერი | : | ლევერკუზენი |
| ნიურნბერგი | : | ჰერტა |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერნი | | 1:2 | 3:1 | 3:0 | 1:0 | 3:0 | | 3:1 | 2:1 | 3:0 | 2:1 | 1:0 | 2:0 | 5:2 | 2:0 | 2:1 | 2:2 | 4:0 | 33 | 22 | 8 | 3 | 64:29 | 74 | 14 | 1 | 1 | 39:11 | 43 | 8 | 7 | 2 | 25:18 | 31 |
| 2 | ჰამბურგი | 2:0 | | | 1:0 | 0:2 | 2:1 | 2:4 | 0:2 | 3:0 | 2:0 | 1:0 | 1:1 | 2:1 | 1:1 | 0:1 | 3:0 | 3:1 | 2:0 | 33 | 21 | 5 | 7 | 52:28 | 68 | 10 | 2 | 4 | 25:14 | 32 | 11 | 3 | 3 | 27:14 | 36 |
| 3 | ვერდერი | 3:0 | 1:1 | | 0:0 | 2:1 | 0:3 | 3:2 | 1:1 | 6:2 | 2:0 | 4:2 | 5:0 | 5:2 | 4:1 | 6:1 | 0:2 | 6:0 | 2:0 | 33 | 20 | 7 | 6 | 77:36 | 67 | 12 | 3 | 2 | 50:18 | 39 | 8 | 4 | 4 | 27:18 | 28 |
| 4 | შალკე | 1:1 | 0:2 | 2:1 | | 7:4 | 0:0 | 0:0 | | 2:0 | 1:1 | 1:0 | 2:0 | 3:1 | 2:0 | 2:2 | 2:1 | 1:1 | 3:0 | 33 | 15 | 13 | 5 | 44:29 | 58 | 9 | 6 | 1 | 29:14 | 33 | 6 | 7 | 4 | 15:15 | 25 |
| 5 | ლევერკუზენი | 2:5 | 0:1 | 1:1 | 1:1 | | 1:2 | 2:1 | 1:1 | 2:2 | 2:1 | 1:2 | 0:0 | 1:1 | 2:1 | 4:0 | 5:1 | 2:1 | 3:2 | 33 | 14 | 9 | 10 | 62:47 | 51 | 7 | 6 | 4 | 30:23 | 27 | 7 | 3 | 6 | 32:24 | 24 |
| 6 | ჰერტა | 0:0 | 4:2 | 1:2 | 1:2 | 1:5 | | 0:0 | 2:0 | 1:1 | 2:2 | 3:1 | 1:1 | 1:0 | 2:0 | 3:0 | 3:0 | 2:4 | 3:2 | 33 | 12 | 12 | 9 | 51:46 | 48 | 8 | 5 | 4 | 30:22 | 29 | 4 | 7 | 5 | 21:24 | 19 |
| 7 | დორტმუნდი | 1:2 | 1:1 | 0:1 | 1:2 | 1:2 | 2:0 | | 0:0 | 2:1 | 2:1 | 1:1 | 0:2 | 2:0 | 1:1 | 3:2 | 2:1 | 2:1 | 2:0 | 33 | 11 | 12 | 10 | 42:39 | 45 | 8 | 4 | 5 | 23:18 | 28 | 3 | 8 | 5 | 19:21 | 17 |
| 8 | შტუტგარტი | 0:0 | 1:2 | 0:0 | 2:0 | 0:2 | 3:3 | 0:0 | | 1:0 | 1:1 | 2:1 | 2:2 | 1:1 | 0:2 | 2:1 | 1:0 | 2:3 | 0:1 | 33 | 9 | 16 | 8 | 35:36 | 43 | 5 | 7 | 5 | 18:19 | 22 | 4 | 9 | 3 | 17:17 | 21 |
| 9 | ნიურნბერგი | 1:2 | 2:1 | 3:1 | 1:1 | 1:1 | | 1:2 | 0:1 | | 5:2 | 3:0 | 1:1 | 2:3 | 0:1 | 1:0 | 3:2 | 2:1 | 3:0 | 33 | 11 | 8 | 14 | 47:50 | 41 | 8 | 3 | 5 | 29:19 | 27 | 3 | 5 | 9 | 18:31 | 14 |
| 10 | მიონხენგლადბახი | 1:3 | 0:0 | 2:1 | 0:0 | 1:1 | 2:2 | 2:1 | 1:1 | 0:1 | | 1:0 | 2:2 | 2:0 | 4:3 | 1:1 | 4:1 | 2:0 | 2:1 | 33 | 9 | 12 | 12 | 40:50 | 39 | 8 | 7 | 2 | 27:18 | 31 | 1 | 5 | 10 | 13:32 | 8 |
| 11 | მაინცი | 2:2 | 1:3 | 0:2 | 1:0 | 3:1 | 2:2 | 1:1 | 1:2 | 4:1 | 3:0 | | 0:0 | 1:1 | 2:2 | 5:1 | 0:2 | 4:2 | 1:1 | 33 | 9 | 10 | 14 | 46:47 | 37 | 6 | 7 | 4 | 31:23 | 25 | 3 | 3 | 10 | 15:24 | 12 |
| 12 | ჰანოვერი | 1:1 | 2:1 | 0:0 | 1:2 | | 2:2 | 1:2 | 3:3 | 1:1 | 1:1 | 2:2 | | 0:1 | 2:0 | 2:4 | 5:1 | 1:0 | 1:1 | 33 | 7 | 16 | 10 | 41:45 | 37 | 4 | 8 | 4 | 25:22 | 20 | 3 | 8 | 6 | 16:23 | 17 |
| 13 | არმინია | 1:2 | 0:2 | 0:1 | 0:1 | 1:0 | 3:0 | 1:0 | 2:1 | 0:0 | 0:2 | 2:0 | 4:1 | | 1:0 | 0:1 | 0:0 | 3:2 | 0:2 | 33 | 10 | 7 | 16 | 30:43 | 37 | 8 | 2 | 7 | 18:15 | 26 | 2 | 5 | 9 | 12:28 | 11 |
| 14 | აინტრახტი | 0:1 | 1:2 | 0:1 | 0:1 | 1:4 | 1:1 | 2:0 | 1:1 | 1:0 | | 0:0 | 0:1 | 3:0 | | 1:1 | 2:2 | 6:3 | 5:2 | 33 | 9 | 9 | 15 | 42:49 | 36 | 5 | 5 | 6 | 24:20 | 20 | 4 | 4 | 9 | 18:29 | 16 |
| 15 | ვოლფსბურგი | 0:0 | 0:1 | 1:1 | 0:0 | 2:1 | 1:1 | 2:2 | 0:1 | 1:1 | 2:0 | 0:3 | 2:1 | 0:0 | 1:0 | | | 1:1 | 1:1 | 33 | 7 | 12 | 14 | 31:53 | 33 | 4 | 9 | 3 | 14:14 | 21 | 3 | 3 | 11 | 17:39 | 12 |
| 16 | კაიზერსლაუტერნი | 1:1 | 0:3 | 1:5 | 0:2 | 2:2 | 0:2 | 3:3 | 1:1 | 1:3 | 3:0 | 0:2 | 1:0 | 2:0 | 1:2 | 3:2 | | 2:2 | 5:3 | 33 | 8 | 8 | 17 | 45:69 | 32 | 5 | 5 | 7 | 26:33 | 20 | 3 | 3 | 10 | 19:36 | 12 |
| 17 | კიოლნი | 1:2 | 0:1 | 1:4 | 2:2 | 0:3 | 0:1 | 0:0 | 0:0 | 3:4 | 2:1 | 1:0 | 1:4 | | 1:1 | 3:0 | 2:3 | | 3:1 | 33 | 6 | 9 | 18 | 45:69 | 27 | 4 | 4 | 8 | 20:27 | 16 | 2 | 5 | 10 | 25:42 | 11 |
| 18 | დუისბურგი | 1:3 | 0:2 | 3:5 | 1:1 | 1:3 | 2:1 | 1:1 | 1:1 | 1:0 | 1:1 | | 0:0 | 1:1 | 0:1 | 1:0 | 2:2 | 1:1 | | 33 | 5 | 11 | 17 | 34:63 | 26 | 3 | 8 | 5 | 17:23 | 17 | 2 | 3 | 12 | 17:40 | 9 |

# ესპანეთი
## სევილია მშრალია

**XXXVIII ტური**

**დღეს**

| | | |
|---|---|---|
| ვილიარეალი | : | რასინგი |
| კადისი | : | მალაგა |
| სელტა | : | ხეტაფე |
| ესპანიოლი | : | სოსიედადი |
| ალავესი | : | დეპორტივო |
| მალიორკა | : | სარაგოსა |
| ატლეტიკო | : | ბეტისი |
| ოსასუნა | : | ვალენსია |
| სევილია | : | ბარსელონა |

**საამსეზონო** პრიმერას ფინალიც მოვიდა — დღეს „ალავესი“ და „ესპანიოლი“ უმაღლესში დამრჩენის ამბავს გაარკვევენ. თავი რომ გადაირჩინოს, პირველმა „დეპორტივო“ უნდა დაამარცხოს, ხოლო მეორემ — „სოსიედადი“. „დეპორთან“ სანქცირებული ალავესელი კოსტანსო ვერ ითამაშებს, ხოლო გალისიელებს ასევე დაჯარიმებული კაპდევილა დააკლდებათ. ამ მატჩში ხოაკინ კაპაროსი ბოლოჯერ დამოძღვრავს „დეპორტივოს“, მომავალ სეზონში იგი „ოსასუნას“ უხემძღვანელებს.

„ესპანიოლს“ ზღვისპირელ ბასკებთან ომში კაპიტანი დაუბრუნდება. რაულ ტამუდომ ტრავმა მოირჩინა. კატალონიელებმა წლეულს კოპა დელ რეი კი მოიგეს, მაგრამ ჩემპიონატს ვეღარ მიხედეს და „სოსიედადთან“ ბევრი ოფლის ღვრა მოუწევთ. ლოტინამ, „ესპანიოლის“ მწვრთნელმა, ინჩასებს მიმართა, აბა, თქვენ იცით, „მონჟუიკზე“ ბიჭები ქომაგობით გავამხნევოთო. „სოსიედადს“ დაჯარიმებული მიკელ ალონსო გამოაკლდება.

წყალწაღებულებს შევეშვათ და ახლა ცხრილის სათავეში გადავინაცვლოთ. 34-ე ტურში თქეშმა „სანჩეს პისხუანი“ წალეკა, რის გამოც მაშინდელ გადადებულ ჯახს „სევილია“ და „ბარსელონა“ დღეს გამართავენ. უეფას თასის მფლობელ სევილიელებს ღრუბლებიდან ძირს დაშვება მოუწევთ, „ბარსასთან“ მოგებამ ეგებ სამომავალსეზონოდ ჩემპიონთა ლიგაზე ადგილიც მოუტანოთ. „სანჩეს პისხუანზე“ მიბრუნებულ კატალონიელებს კი სავარაუდოდ რონალდინიო, მარკესი, ბელეტი და პუიოლი არ ეყოლებათ — „არსენალთან“ ჩემპიონთა ლიგის ფინალი კარზეა მომდგარი.

„ვილიარეალი“ პრიმერას ბოლო ტურში მასზე ერთი ქულით მაღლა მდგომ „დეპორტივოს“ ჩაუსაფრდა — თუ „ყვითლებმა“ „რასინგი“ დაამარცხეს, ხოლო „დეპორი“ „ალავესთან“ შერცხვა, „ვილია“ გაისად ინტერტოტოზე ითამაშებს. „რასინგს“ სანქცირებულები — ანტონიტო, პინილიოსი და სერანო — ვერ დაეხმარებიან. „სელტას“ „ხეტაფესთან“ დაჯარიმებული პარერა გამოაკლდება, ხეტაფელებს კი დორადო და დიეგო რივასი. „მალიორკა“ „სარაგოსას“ სანქციააკიდებულ დონის ვერ დაახვედრებს, მადრიდის „ატლეტიკო“ „ბეტისს“ — პიტერ ლუქსენს. თავის მხრივ, „ბეტისიდან“ მიგელ ანხელი და რობერტო ვერ ითამაშებენ. დღეს ანდალუზიელ მაჩანჩალათა დერბიც გაიმართება „რამონ დე კარანსაზე“. სეგუნდასთან უკვე ჩახუტებული „კადისი“ და „მალაგა“ პრიმერადივიზიონს ერთმანეთთან ბრძოლით ემშვიდობებიან...



რონალდინიოს საარსენალოდ დაასვენებენ

**ლადო ხომერიკი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | | 1:1 | 2:2 | 3:0 | 2:1 | 2:0 | 3:2 | 1:0 | 3:1 | 1:3 | 2:2 | 2:1 | 5:1 | 4:1 | 5:0 | 2:0 | 2:0 | 2:0 | 1:0 | 2:0 | 36 | 25 | 7 | 4 | 77:29 | 82 | 15 | 3 | 1 | 45:15 | 48 | 10 | 4 | 3 | 32:14 | 34 |
| 2 | რეალი | 0:3 | | 1:2 | 1:1 | 4:2 | 2:3 | 4:0 | 3:3 | 1:0 | 2:1 | 1:0 | 3:1 | 0:0 | 1:2 | 1:1 | 4:0 | 4:0 | 3:0 | 3:1 | 2:1 | 37 | 20 | 10 | 7 | 67:36 | 70 | 11 | 4 | 4 | 40:21 | 37 | 9 | 6 | 3 | 27:15 | 33 |
| 3 | ვალენსია | 1:0 | 0:0 | | 2:0 | 0:2 | 2:0 | 2:2 | 1:1 | 1:1 | 1:1 | 2:2 | 1:1 | 1:0 | 1:1 | 2:1 | 3:0 | 4:0 | 3:0 | 5:3 | 2:1 | 37 | 19 | 12 | 6 | 57:31 | 69 | 10 | 8 | 1 | 34:16 | 38 | 9 | 4 | 5 | 23:15 | 31 |
| 4 | ოსასუნა | 2:1 | 0:1 | | | 1:0 | 2:0 | 1:2 | 2:1 | 0:4 | 2:1 | 1:1 | 3:2 | 0:2 | 1:1 | 2:0 | 1:0 | 2:0 | 3:2 | 2:0 | 1:1 | 37 | 20 | 5 | 12 | 47:42 | 65 | 11 | 3 | 4 | 26:19 | 36 | 9 | 2 | 8 | 21:23 | 29 |
| 5 | სევილია | | | 1:0 | 0:1 | | 1:0 | 0:2 | 2:0 | 3:0 | 0:0 | 1:1 | 2:1 | 1:0 | 1:0 | 3:2 | 1:1 | 1:1 | 2:0 | 0:0 | 3:1 | 36 | 18 | 8 | 10 | 47:34 | 62 | 10 | 5 | 2 | 22:10 | 35 | 8 | 3 | 8 | 25:24 | 27 |
| 6 | სელტა | 0:1 | 1:2 | 0:1 | 2:0 | 2:1 | | 0:3 | 1:0 | | 2:1 | 4:0 | 0:1 | 2:1 | 0:1 | 1:0 | 2:0 | 1:0 | 2:1 | 2:0 | 2:0 | 37 | 19 | 4 | 14 | 44:33 | 61 | 12 | 0 | 6 | 24:13 | 36 | 7 | 4 | 8 | 20:20 | 25 |
| 7 | დეპორტივო | 3:3 | 3:1 | 0:1 | 0:1 | 0:0 | 0:2 | | 0:2 | 1:0 | 1:0 | 1:1 | 1:2 | 1:1 | 2:0 | 0:1 | 2:2 | 1:2 | 0:2 | 1:0 | 2:1 | 37 | 15 | 10 | 12 | 47:44 | 55 | 6 | 5 | 8 | 19:22 | 23 | 9 | 5 | 4 | 28:22 | 32 |
| 8 | ვილიარეალი | 0:2 | 0:0 | 1:0 | 2:1 | 1:1 | 1:2 | 1:1 | | 2:1 | 1:1 | 0:0 | 3:1 | 1:2 | | 0:2 | 3:0 | 4:0 | 3:2 | 1:1 | 2:1 | 37 | 13 | 15 | 9 | 48:39 | 54 | 8 | 6 | 4 | 26:18 | 30 | 5 | 9 | 5 | 22:21 | 24 |
| 9 | ხეტაფე | 1:3 | 1:1 | 2:1 | 0:0 | 1:0 | 1:1 | 1:2 | 1:1 | | 0:3 | 5:2 | 1:1 | 1:0 | 1:2 | 2:1 | 1:1 | 5:0 | 2:2 | 3:1 | 3:2 | 37 | 15 | 9 | 13 | 54:48 | 54 | 8 | 7 | 4 | 32:24 | 31 | 7 | 2 | 9 | 22:24 | 23 |
| 10 | ატლეტიკო | 2:1 | 0:3 | 0:0 | 0:1 | 0:1 | 0:3 | 3:2 | 1:1 | 0:1 | | 0:0 | 1:0 | | 2:1 | 1:0 | 0:1 | 1:1 | 1:1 | 3:0 | 5:0 | 37 | 13 | 12 | 12 | 44:36 | 51 | 7 | 5 | 6 | 20:17 | 26 | 6 | 7 | 6 | 24:19 | 25 |
| 11 | სარაგოსა | 0:2 | 1:1 | 2:2 | 3:1 | 0:2 | 1:0 | 1:1 | 0:1 | 1:2 | 0:2 | | 3:2 | 4:3 | 1:1 | 0:1 | 3:1 | 1:1 | 3:0 | 1:2 | 1:1 | 37 | 10 | 16 | 11 | 45:48 | 46 | 6 | 6 | 7 | 26:26 | 24 | 4 | 10 | 4 | 19:22 | 22 |
| 12 | ბილბაო | | 0:2 | 0:3 | 1:0 | 0:1 | 1:1 | 1:2 | 1:1 | 1:0 | 1:1 | 1:0 | | 2:0 | 0:0 | 3:0 | 1:1 | 1:1 | 0:2 | 1:0 | 1:2 | 37 | 10 | 12 | 15 | 37:45 | 42 | 6 | 6 | 6 | 16:17 | 24 | 4 | 6 | 9 | 21:28 | 18 |
| 13 | ბეტისი | 1:4 | 0:2 | 0:2 | 1:0 | 2:1 | 0:2 | 0:1 | 2:3 | 1:0 | 1:0 | 0:0 | 1:1 | | 1:0 | 2:0 | 2:1 | 0:0 | 3:0 | 1:1 | 1:1 | 37 | 10 | 11 | 16 | 33:50 | 41 | 8 | 5 | 6 | 19:19 | 29 | 2 | 6 | 10 | 14:31 | 12 |
| 14 | რასინგი | 2:2 | 2:3 | 2:1 | 2:1 | 2:3 | 0:1 | 0:3 | 1:0 | 1:3 | 0:1 | 0:0 | 0:1 | 1:1 | | 2:2 | 0:0 | 1:0 | 1:2 | 0:1 | 1:1 | 37 | 9 | 13 | 15 | 36:47 | 40 | 4 | 6 | 9 | 18:26 | 18 | 5 | 7 | 6 | 18:21 | 22 |
| 15 | სოსიედადი | 0:2 | 2:2 | 1:2 | 1:2 | 1:2 | 2:2 | 2:0 | 1:3 | 3:0 | 3:2 | 1:3 | 3:3 | 1:1 | 1:0 | | 2:1 | 0:1 | 2:1 | 2:0 | 3:0 | 37 | 11 | 7 | 19 | 48:64 | 40 | 8 | 4 | 7 | 31:27 | 28 | 3 | 3 | 12 | 17:37 | 12 |
| 16 | მალიორკა | 0:3 | 2:1 | 2:1 | 0:1 | 1:1 | 1:0 | 0:1 | 1:1 | 1:1 | 2:2 | | 0:1 | 1:1 | 0:0 | 5:2 | | 0:0 | 0:0 | 1:0 | 1:4 | 37 | 9 | 13 | 15 | 34:50 | 40 | 5 | 8 | 5 | 18:20 | 23 | 4 | 5 | 10 | 16:30 | 17 |
| 17 | ესპანიოლი | 1:2 | 1:0 | 1:3 | 2:4 | 5:0 | 2:0 | 1:2 | 1:2 | 0:2 | 1:1 | 2:2 | 1:1 | 2:0 | 0:2 | | 2:0 | | 0:0 | 0:2 | 3:1 | 37 | 9 | 11 | 17 | 35:56 | 38 | 6 | 4 | 8 | 25:24 | 22 | 3 | 7 | 9 | 10:32 | 16 |
| 18 | ალავესი | 0:0 | 0:3 | 0:1 | 1:2 | 2:1 | 1:0 | | 1:1 | 3:4 | 0:1 | 0:2 | 0:0 | 2:0 | 2:2 | 3:1 | 0:3 | 1:1 | | 0:0 | 3:2 | 37 | 8 | 12 | 17 | 34:54 | 36 | 5 | 6 | 7 | 19:24 | 21 | 3 | 6 | 10 | 15:30 | 15 |
| 19 | კადისი | 1:3 | 1:2 | 0:1 | 1:3 | 0:4 | 1:1 | 1:1 | 1:1 | 1:0 | 1:1 | 1:2 | 1:0 | 1:1 | 1:1 | 2:2 | 1:2 | 2:0 | 0:0 | | | 37 | 7 | 12 | 18 | 31:52 | 33 | 3 | 8 | 7 | 17:25 | 17 | 4 | 4 | 11 | 14:27 | 16 |
| 20 | მალაგა | 0:0 | 0:2 | 0:0 | 1:2 | 0:2 | 0:2 | 1:1 | 0:0 | 1:2 | 0:2 | 0:1 | 2:1 | 5:0 | 2:3 | 3:1 | 0:2 | 1:2 | 0:0 | 0:2 | | 37 | 5 | 9 | 23 | 36:63 | 24 | 3 | 5 | 11 | 16:25 | 14 | 2 | 4 | 12 | 20:38 | 10 |

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 15:00 | 478 | ლინკოლნი-გრიმსბი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 21:00 | 479 | უიკომბი-ნოტსკაუნტი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 17:30 | 3 | ბაიერნი-დორტმუნდი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| 17:30 | 5 | ლევერკუზენი-მაინცი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 17:30 | 6 | აინტრახტი-გლადბახი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 17:30 | 7 | ჰამბურგი-ვერდერი | 2.60 | 3.20 | 2.55 | 1.43 | 1.28 | 1.41 |
| 17:30 | 8 | ჰანოვერი-დუისბურგი | 2.80 | 3.30 | 2.25 | 1.51 | 1.24 | 1.33 |
| 17:30 | 9 | კიოლნი-არმინია | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 17:30 | 10 | ნიურნბერგი-ჰერტა | 2.50 | 3.20 | 2.65 | 1.40 | 1.28 | 1.44 |
| 17:30 | 11 | შალკე-შტუტგარტი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 17:30 | 12 | ვოლფსბურგი-ლაუტერნი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **14 მაისი** | | | | | | |
| 17:00 | 13 | ალენი-ოფენბახი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 17:00 | 14 | აუე-ზიგენი | 1.50 | 3.70 | 5.50 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| 17:00 | 15 | ბურგჰაუზენი-ალემანია | 2.35 | 3.30 | 2.55 | 1.37 | 1.22 | 1.43 |
| 17:00 | 16 | კოტბუსი-მიუნხენი 1860 | 1.45 | 4.00 | 5.50 | 1.06 | 1.14 | 2.31 |
| 17:00 | 17 | ფრაიბურგი-ფიურტი | 2.15 | 3.30 | 2.80 | 1.30 | 1.21 | 1.51 |
| 17:00 | 18 | ჰანზა-დინამო | 3.70 | 3.40 | 1.75 | 1.77 | 1.18 | 1.15 |
| 17:00 | 19 | კარლსრუე-პადერბორნი | 1.30 | 4.30 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.79 |
| 17:00 | 20 | ზაარბრიუკენი-ბრაუნშვაიგი | 2.20 | 3.30 | 2.70 | 1.32 | 1.21 | 1.48 |
| 17:00 | 21 | უნტერჰახინგი-ბოხუმი | 2.20 | 2.80 | 3.20 | 1.23 | 1.30 | 1.49 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 16:00 | 24 | ვერდერი(მ)-ვატენშაიდი | 2.05 | 3.10 | 3.10 | 1.23 | 1.23 | 1.54 |
| 16:00 | 25 | ვუპერტალი-ჰერტა(მ) | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 16:00 | 26 | ერფურტი-ოსნაბრიუკი | 1.65 | 3.40 | 4.20 | 1.11 | 1.18 | 1.87 |
| 16:00 | 27 | ემდენი-კილი | 2.40 | 3.20 | 2.50 | 1.37 | 1.22 | 1.40 |
| 16:00 | 28 | ლიუბეკი-კარლ ცაისი | 1.95 | 3.20 | 3.20 | 1.21 | 1.21 | 1.60 |
| | | **14 მაისი** | | | | | | |
| 16:00 | 29 | ობერჰაუზენი-მიუნსტერი | 2.60 | 3.30 | 2.20 | 1.45 | 1.19 | 1.32 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 16:30 | 40 | ფიურსტენფელდი-ლაუტერნი(მ) | 1.85 | 3.20 | 3.45 | 1.17 | 1.20 | 1.66 |
| 16:30 | 41 | კიკერსი-შტუტგარტი(მ) | 2.25 | 3.20 | 2.60 | 1.32 | 1.20 | 1.43 |
| 16:30 | 42 | ვეენი-რეგენსბურგი | 1.80 | 3.50 | 3.40 | 1.18 | 1.17 | 1.72 |
| 16:30 | 43 | კობლენცი-ბაიროიტი | 1.45 | 3.60 | 5.50 | 1.03 | 1.14 | 2.17 |
| 16:30 | 45 | აუგსბურგი-დარმშტადტი | 1.85 | 3.40 | 3.30 | 1.19 | 1.18 | 1.67 |
| | | **14 მაისი** | | | | | | |
| 17:00 | 46 | ბაიერნი(მ)-კარლსრუე(მ) | 1.75 | 3.30 | 3.80 | 1.14 | 1.19 | 1.76 |
| 17:00 | 47 | აალენი-ტრიერი | 1.90 | 3.40 | 3.10 | 1.21 | 1.17 | 1.62 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 20:30 | 50 | პაშინგი-ავსტრია | 2.10 | 2.80 | 3.40 | 1.20 | 1.29 | 1.53 |
| 20:30 | 51 | რაპიდი-რიდი | 2.20 | 3.30 | 2.75 | 1.32 | 1.22 | 1.50 |
| 20:30 | 52 | ტიროლი-გრაცერი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 19:45 | 61 | ბაზელი-ციურიხი | 1.95 | 3.20 | 3.45 | 1.21 | 1.24 | 1.66 |
| | | **14 მაისი** | | | | | | |
| 18:15 | 62 | გრასჰოპერი-აარაუ | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 18:15 | 64 | სტ.გალენი-შაფჰაუზენი | 2.65 | 3.40 | 2.20 | 1.48 | 1.20 | 1.33 |
| 18:15 | 65 | თუნი-ქსამაქსი | 2.40 | 3.40 | 2.35 | 1.40 | 1.18 | 1.38 |
| 18:15 | 66 | ივერდონი-იანგ ბოისი | 2.20 | 3.40 | 2.65 | 1.33 | 1.20 | 1.48 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **14 მაისი** | | | | | | |
| 17:00 | 77 | კალიარი-ინტერი | 2.80 | 2.70 | 2.55 | 1.37 | 1.33 | 1.31 |
| 17:00 | 79 | კიევო-ფიორენტინა | 8.00 | 3.20 | 1.50 | 2.28 | 1.26 | 1.02 |
| 17:00 | 80 | ემპოლი-ასკოლი | 1.75 | 2.70 | 6.00 | 1.06 | 1.35 | 1.86 |
| 17:00 | 81 | ლაციო-პარმა | 1.85 | 2.70 | 5.00 | 1.09 | 1.35 | 1.75 |
| 17:00 | 82 | მილანი-რომა | 1.70 | 3.50 | 4.40 | 1.14 | 1.22 | 1.94 |
| 17:00 | 83 | პალერმო-მესინა | 1.35 | 3.50 | 9.50 | 1.00 | 1.18 | 2.55 |
| 17:00 | 85 | რეჯინა-იუვენტუსი | 17.00 | 4.30 | 1.20 | 3.43 | 1.12 | 1.00 |
| 17:00 | 87 | სამპდორია-ლეჩე | 1.55 | 2.80 | 8.50 | 1.00 | 1.31 | 2.10 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 18:00 | 90 | ატალანტა-არეცო | 2.20 | 2.30 | 4.40 | 1.12 | 1.46 | 1.51 |
| 18:00 | 91 | ბარი-მოდენა | 3.50 | 2.40 | 2.40 | 1.42 | 1.42 | 1.20 |
| 18:00 | 92 | ბოლონია-აველინო | 1.85 | 2.90 | 4.00 | 1.12 | 1.26 | 1.68 |
| 18:00 | 96 | მანტოვა-ვერონა | 1.75 | 2.70 | 5.50 | 1.06 | 1.32 | 1.81 |
| 18:00 | 97 | პიაჩენცა-ტრიესტინა | 2.30 | 2.10 | 4.50 | 1.09 | 1.52 | 1.43 |
| 18:00 | 98 | ტერნანა-ბრეშა | 2.50 | 2.90 | 2.65 | 1.34 | 1.28 | 1.38 |
| 18:00 | 100 | ვიჩენცა-ალბინოლეფე | 2.15 | 2.40 | 4.20 | 1.13 | 1.42 | 1.52 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 23:45 | 101 | ალავესი-დეპორტივო | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 22:00 | 105 | ატლეტიკო-ბეტისი | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 22:00 | 106 | კადისი-მალაგა | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 22:00 | 107 | სელტა-ხეტაფე | 1.85 | 2.90 | 4.20 | 1.12 | 1.28 | 1.71 |
| 22:00 | 109 | მალიორკა-ბარსელონა | 2.15 | 3.10 | 3.30 | 1.26 | 1.30 | 1.59 |
| 23:45 | 112 | ვილარეალი-რასინგი | 1.55 | 3.50 | 5.70 | 1.07 | 1.21 | 2.16 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 20:30 | 116 | ფეროლი-ჰერკულესი | 2.20 | 2.90 | 3.20 | 1.25 | 1.30 | 1.52 |
| 23:45 | 118 | ლევანტე-ტენერიფე | 1.70 | 3.10 | 4.70 | 1.09 | 1.24 | 1.86 |
